საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 163 (709) ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

საქინფორმის კორესპონდენტი სოჭიდან იუწყება

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

27 ივლისს სასტუმრო „ჟემჩუჟინაში" ხელი მოაწერეს შეთანხმებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ. ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სოკრატ ჯინჯოლიამ.

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გადმოგვცა, მოლაპარაკებამ ნორმალურად ჩაიარა. ქართველთა მხრიდან მასში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტის ზონაში სანდრო კავსაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, აფხაზეთის მხრიდან კი — ბატონები სერგეი შამბა, საიდ ტარკილი, გიორგი ყოლბაია, ანრი ჯგერენაია.

შეთანხმების მიხედვით 28 ივლისს, დღის 12 საათიდან აფხაზეთში უნდა შეწყდეს ცეცხლი.

„საღი აზრი და პოლიტიკური ნება..."

შეთანხმების დადების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა წაიკითხა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის მიმართვა, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ქართველთა და აფხაზთა ხელმძღვანელობამ გამოიჩინა საღი აზრი და პოლიტიკური ნება, როცა დაჰყვა რუსეთის მტკიცე სამშვიდობო ძალისხმევას, რომელსაც მხარი დაუჭირა გაერომ და მთლიანად საერთაშორისო გაერთიანებამ. გზა გაეხსნა ძმათამკვლელი ომის შეწყვეტას".

„ახლა საჭიროა მტკიცედ დავიცვათ მიღწეული მორიგება, გამოვრიცხოთ პროვოკაციები, შეუქცევადი ხასიათი მივანიჭოთ სამშვიდობო პროცესს. რუსეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოს ამ მიზნების მიღწევას, იმას, რომ მხარეებმა რაც შეიძლება სწრაფად შეიმუშაონ აფხაზეთში სრული მასშტაბის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ შეთანხმება. რუსეთის ფედერაცია მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის გარანტიებს, ეროვნებათაშორისი პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას", — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის მიმართვაში.

ედუარდ შევარდნაძე: გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელსაც მშვიდობისაკენ მიმავალ გზას ვუწოდებთ

აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმების პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი საქართველოს პარლამენტის დახურული სხდომის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ ეთერში ინტერვიუ მისცა ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას.

ჟურნალისტის თხოვნით სახელმწიფოს მეთაურმა კომენტარი გაუკეთა შემოთავაზებულ პროექტს. მან, კერძოდ, თქვა:

— პირველ რიგში, მინდა გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ პარლამენტმა ძალიან პრინციპულად განიხილა მოსალოდნელი შეთანხმების ძირითადი საკითხები, და მომცა საშუალება იმისა, რომ უფრო გაბედულად, უფრო მეტი რწმენით, მივიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, მოვაწეროთ თუ არა ხელი ამ შეთანხმებას.

მე მართლაც მოკლე კომენტარს გავაკეთებ, შევეცდები ავხსნა, რას წარმოადგენს ეს შეთანხმება, რა შინაარსი აქვს და რამდენად არის მისაღები და მიუღებელი ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით.

პირველი, რაც ხაზგასმითაა აღნიშნული, ამ პროექტში, (ჯერჯერობით ეს პროექტია), ეს არის პრინციპული კონსტატაცია იმისა, რომ ცეცხლი უნდა შეწყდეს ამა და ამ თარიღიდან, ხოლო თარიღი დადგინდება ხელმოწერის პროცესში. შემდეგი დებულება გახლავთ საკონტროლო მექანიზმის შექმნა. თქვენ გახსოვთ, რომ ასეთი საკონტროლო სისტემა, საკონტროლო მექანიზმი შეიქმნა 3 სექტემბრის ხელშეკრულების შემდეგ, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ იმუშავა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, თუ ცეცხლი უნდა შეწყდეს, საკონტროლო მექანიზმი უნდა შეიქმნას და ასეთი იდეა, ასეთი დებულება აქ ფიქსირებულია. ამ ეტაპზე კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველო, რუსეთი, გუდაუთის დაჯგუფება, რა თქმა უნდა, გაეროს დამკვირვებელთა სპეციალური ჯგუფი. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები. შეიქმნება დროებითი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი საკონტროლო ჯგუფები, რომლებიც განლაგდებიან კონფლიქტის მთელ პერიმეტრზე. ეს პროცესი უკვე დაიწყო. მეწინავე ჯგუფი, რომელმაც უნდა დაგეგმოს უცხოელი მეთვალყურეების მონაწილეობა ამ საქმეში, უკვე მუშაობს. ისინი იყვნენ სოხუმში, გუდაუთაში, ისევ სოხუმში და, ალბათ, დღეს-ხვალ დაბრუნდებიან თბილისში. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, პირველად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საქართველოში კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უშიშროების საბჭო, ევროთათბირის წარმომადგენლები. შეიქმნება გაერთიანებული კომისია საბოლოო მოწესრიგებისათვის, რათა მომზადდეს დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც საერთოდ უნდა მოეღოს ბოლო კონფლიქტს. ამ კომისიის მუშაობაში, როგორც ზემოთ ვთქვით, მონაწილეობას მიიღებენ გაეროს, ევროთათბირის წარმომადგენლები. ასევე აქ გათვალისწინებულია დებულება საერთაშორისო მეთვალყურეებისა და სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ სხვადასხვა ადგილებზე, მაგალითად, იქ, სადაც დაპირისპირებაა გუმისთის ნაპირებს შორის, ასევე საზღვარზე, ფსოუზე და ზოგიერთ სხვა ცხელ წერტილში, სადაც შეიძლება დაირღვეს შეთანხმება. ამ ძალების შემადგენლობა, მხედველობაში მაქვს სამშვიდობო ძალები, მეთვალყურეები, მათი რაოდენობა და მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მათს ფუნქციონირებასთან, შეთანხმებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და ამ შეთანხმების საფუძველზე იმოქმედებენ ისინი აფხაზეთში.

შედარებით ახალი იდეა, რომელიც, რა თქმა უნდა, სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს, არის მთელი კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია. ამგვარი იდეა პირველად გაჩნდა მსგავს დოკუმენტებში და, ვფიქრობ, რომ, თუ სერიოზულად ვიმუშავებთ ამ მოსაზრების სრულყოფისათვის, თავისთავად მას დიდი მომავალი აქვს. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, როგორც საქართველოს შეიარაღებული რაზმები, ასევე აფხაზეთში შემოსული სხვა სამხედრო ფორმირებები ტოვებენ კონფლიქტის ზონას. ეს ჩვენთვის ერთ-ერთი რთული დებულებაა. 3 სექტემბრის შეთანხმებაში არ იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონიდან გამოვლენ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, ამას ხაზს ვუსვამ, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაყვანილი ყველა, ვინც შემოსულია აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან და თქვენ იცით, როგორი ძალებია და რა მასშტაბისაა ეს შემოჭრა, მაშინ ვითარება გარკვეულად იცვლება. გარკვეული კომპენსაცია ჩვენი შეიარაღებული რაზმებისა, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან, უნდა მოხდეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისაგან შედგენილი სამხედრო ნაწილის ბაზაზე. სამხედრო ნაწილის, ვუსვამ მე ხაზს. ეს შეიძლება იყოს პოლკი, ბრიგადა, იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ხალხი იქნება საჭირო. ეს ნაწილი შეასრულებს შინაგანი ჯარის ფუნქციებს — დაიცავს სარკინიგზო მაგისტრალებს (ჩვენი ჯარების განლაგება აფხაზეთში სწორედ ამ ამოცანასთან იყო დაკავშირებული), სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს. გაანგარიშებები, თუ რა რაოდენობის ხალხი, რომელი კომუნიკაციების დაცვა იქნება საჭირო, ცალკე უნდა გაკეთდეს და ცალკე განხილვის საგანი იქნება. მოგეხსენებათ, ახლა აფხაზეთში ასეთი ნაწილების უკმარისობა არ არის. სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირის ზონაში, სხვა რეგიონებში მოქალაქეთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მიიღო საბრძოლო ნათლობა, და ახლა სოხუმშიც და ოჩამჩირეშიც რამდენიმე სრულფასოვანი ბატალიონი მოქმედებს, იბრძვის და მათ ბაზაზე შესაძლებელია ასეთი ნაწილის ფორმირება. ამავე მიზნებით გუდაუთის ზონაში მოხდება პოლკის ფორმირება. კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ძალების ბაზაზე. მასში თავს მოიყრიან ის მებრძოლები, რომლებიც ახლა სხვადასხვა მიმართულებით არიან გამოყენებული. ისინი ძირითადად დაცვით ფუნქციებს შეასრულებენ. ყოველივე ეს მოხდება გაერთიანებული კომისიის კონტროლის ქვეშ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება სამშვიდობო ძალების ფორმირება, ამ ძალებში იქნებიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები. რომელი ქვეყნების — ჯერ ეს დასადგენია, განსასაზღვრია. მათ შემადგენლობაში გაეროსთან შეთანხმებით და მისი ეგიდით იქნებიან რუსეთის ნაწილებიც. მათი რაოდენობა, შეფარდება ცალკე მოლაპარაკების საგანი უნდა იყოს.

პროექტში გათვალისწინებულია ზრუნვა ლტოლვილების დაბრუნებაზე, და ეს მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ცეცხლის შეწყვეტისთანავე დაიწყება ეს მუშაობა, და ჩემი წინადადებაა, ამასთან დაკავშირებით, შეიქმნას გაერთიანებული კომისიების სპეციალური ჯგუფები რეგიონებში, ცალკეულ სოფლებში, და ეს საკმაოდ ვრცელი ქსელი იქნება.

თავისთავად, დემილიტარიზებული ზონა გულისხმობს, რომ მომავალში არ უნდა დარჩეს არცერთი შეიარაღებული ფორმირება. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ აქტიურად ისმება აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის ნაწილების ბედის საკითხი. მხედველობაში მაქვს გუდაუთის რაიონში და სოხუმში განლაგებული ნაწილები. ჩვენ შევთანხმდით, და ეს აღნიშნულია პროექტში, რომ ამ ნაწილების ბედი უნდა გადაწყდეს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების პროცესში. მოლაპარაკება კი დაიწყება ცეცხლის შეწყვეტისთანავე.

ამ ჯარების საკითხი სწორედ ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების საგანი უნდა იყოს და არა მესამე და მეოთხე ძალისა.

24 ივლისის ტელეინტერვიუ

გაეროს ეგიდით, რუსეთის მონაწილეობით, დაუყოვნებლივ დაიწყება მოლაპარაკება კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებისათვის. ზოგს შეიძლება ეხამუშება — რატომ რუსეთის მონაწილეობით. მე დღეს პარლამენტზე არაერთხელ ხაზგასმით აღვნიშნე, რომ რეალისტები უნდა ვიყოთ და რეალური ვითარებიდან გამოვიდეთ. თუ გვინდა, რომ სერიოზულად ვილაპარაკოთ კონფლიქტის მოწესრიგებაზე, ანგარიში უნდა გავუწიოთ რუსეთის ფაქტორს. ეს ერთი. მეორე — რუსეთის რეალური მონაწილეობა კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში გარკვეულად მის პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, გულისხმობს ამ პასუხისმგებლობას. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის და მშვიდობის საერთო ინტერესებისათვის, სავსებით მისაღებია რუსეთის მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარებაში, მათ შორის, მოლაპარაკების პროცესში.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პროექტი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, შუალედურია. თუმცა, აქ არის ცალკეული პოლიტიკური ასპექტებიც, მაგრამ, ძირითადად, დაკავშირებულია ცეცხლის შეწყვეტასთან. წარმოდგენილ პროექტში არის ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომლებიც უნდა აისახოს საბოლოო დოკუმენტში. ეს არის რეგიონში მშვიდობის დაცვის პრობლემები, დემილიტარიზაციის საკითხები, სამშვიდობო ძალების გამოყენების მთელი ტექნოლოგია, ეკონომიკური ცხოვრების განახლება და მოწყობა აფხაზეთის ყველა ზონაში, წესრიგის აღდგენა, სამხედრო დამნაშავეთა გამოვლენა, ლაპარაკია იმათზე, ვინც მონაწილეობდა სასტიკ დამსჯელობით ექსპედიციებში და უსწორდებოდა უდანაშაულო ადამიანებს. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც დეტალურად უნდა დამუშავდეს, ეს არის ლტოლვილთა დაბრუნების ურთულესი საკითხი. სწორედ ამ საბოლოო დოკუმენტმა უნდა დაარეგულიროს ადამიანის უფლებათა დაცვა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და რაც მთავარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, რომელიც, რა თქმა უნდა, გულისხმობს არჩევნების მოწყობას და შემდგომ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებას.

არის ისეთი დებულებაც, რომელმაც პარლამენტში სერიოზული კამათი გამოიწვია, და იგი 3 სექტემბრის ხელშეკრულებაშიც იყო გათვალისწინებული. ეს დებულება ითვალისწინებს კანონიერი ხელისუფლების ნორმალური მუშაობის პირობების შექმნას. დღეს ასეთი შეკითხვაც კი გაისმა, ითვლება თუ არა კანონიერად, ის ხელისუფლება, რომელიც დღეს სოხუმში მუშაობს ბატონი შარტავას, ადრე ბატონი თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით, და სხვა იქაური სტრუქტურები. ეს სტრუქტურები ისევე კანონიერია, როგორც სხვა სტრუქტურები აფხაზეთში, რომლებსაც გულისხმობს მეორე მხარე, რადგანაც ისინი შექმნილია საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების, პარლამენტის, ჩემი განკარგულებით და მათ კანონიერი არსებობის უფლება აქვთ.

აი, დაახლოებით ასეთია შეთანხმების ეს პროექტი.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა ამ პროექტისადმი ასეთი დამოკიდებულება, იმან, რომ მასში მიღწეულია გარკვეული კონსენსუსი და იგი იმ კონდიციამდეა მიყვანილი, რომ მისაღებია ჩვენთვის, თუ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა აფხაზეთის ფრონტზე და იძულებული ვართ, ნებისმიერ დოკუმენტს მოვაწეროთ ხელი, ოღონდ ცეცხლი შეწყდეს, სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა:

— კონფლიქტის დაწყების მეორე დღიდანვე ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ სამშვიდობო ეტაპზე გადავსულიყავით. სწორედ აქედან გამომდინარეობდა 3 სექტემბრის ხელშეკრულება, ჩვენი ზრუნვა იმისათვის, რომ დაწყებულიყო ორმხრივი კონტაქტები, ორმხრივი, სამმხრივი დიალოგი, არაერთი მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამან შედეგი ვერ მოგვცა. ახლა ჩვენი მთავარი მიზანი არის ომის დამთავრება, ცეცხლის, სისხლისღვრის შეწყვეტა. უნდა გითხრათ, რომ უმძიმეს მდგომარეობაშია საქართველო, ქართველობა, მაგრამ არც აფხაზები არიან დალხინებული. უზარმაზარია მათი მსხვერპლი. რასაც ჩვენ, ალბათ, ისევე განვიცდით, როგორც საკუთარ ტკივილს. ეს ჩვენი ხალხია, ჩვენი მოქალაქეები არიან და სხვაგვარად შეუძლებელია. ამიტომ, შეიძლება ამ დოკუმენტში ზოგი რამ სადავოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის მშვიდობისაკენ, კონფლიქტის, სისხლისღვრის შეწყვეტისაკენ მიმავალი გზა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს ის არის, რაც ჩვენ გვჭირდება, რაც საქართველოს ინტერესებს ემსახურება. საბოლოო მიზნიდან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ დღეს სწორედ ის დოკუმენტი გვაქვს ხელთ, რომელიც გარკვეულ ბაზად გამოდგება, საერთო მოწესრიგების პრობლემებთან დაკავშირებული მოლაპარაკებისათვის, არის მოსაზრებებიც, რომ ეს კაპიტულაციაა, საშინელი დათმობაა და ა. შ. მიმაჩნია, რომ მშვიდობის დამყარება, ომის შეწყვეტა საკუთარ ქვეყანაში, თუნდაც გარკვეული კომპრომისის ფასად — უკვე გამარჯვებაა. გულახდილად უნდა გითხრათ: წარმოუდგენელია არ განიცადო, როცა უყურებ, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, დაიჭრა, დასახიჩრდა, რამდენი ოჯახი გაუბედურდა, რამდენი დედა და მეუღლე შეიმოსა ძაძით. აღარ შეიძლება ამის გაგრძელება. მე არ ვამბობ, რომ მშვიდობას მივაღწიოთ საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ, მაგრამ საქართველოს მშვიდობა სჭირდება, როგორც ჰაერი და წყალი.

შეთანხმების პროექტისადმი საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში გაჩენილი ეჭვის გამო, თითქოს სამარცხვინო გზა მოერიდება, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

— ამგვარი ეჭვები არა მარტო მოქალაქეებს და ცალკეულ პარლამენტარებს აბადიათ, მეც მღრღნის და არც არის დასამალი. რომ არა რუსეთის გარკვეული წრეების მხრიდან დახმარება, სეპარატისტული რეჟიმი, ამდენს ვერ შეძლებდა. მხედველობაში მაქვს ზოგიერთი ძალა, ჩრდილოეთ კავკასიაში, თვითონ ცენტრში, პარლამენტში, რომელთა მხარდაჭერითაც შეიქმნა, ფაქტობრივად, დაჯგუფების სამხედრო პოტენციალი. მეორეს მხრივ, ამ ეჭვის საფუძველს იძლევა ის, რომ 3 სექტემბრის ხელშეკრულებამ ვერ იმუშავა, რაც ძალიან ძვირად დაგვიჯდა — დაიკარგა გაგრა, ლესელიძე, განთიადი და უამრავი მსხვერპლი და უბედურება დაგვატყდა თავს. არც 14 მაისის შეთანხმება გამოდგა შედეგიანი. მაგრამ მშვიდობის მიღწევა იმიტომაა ძნელი, რომ ეკლიანია მისი გზა და ჩვენ ამ ეკლიან გზაზე უნდა გავიაროთ. მუდმივი ეჭვების გავლენამ ჩვენ შეიძლება აგვაცდინოს სწორ გზას, ეს უნდა გვახსოვდეს. უნდა გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელსაც მშვიდობისაკენ მიმავალ გზას ვუწოდებთ. ვფიქრობ, რომ რუსეთი უნდა იყოს და არის კიდეც სასიცოცხლოდ დაინტერესებული ამ კონფლიქტის შეწყვეტით. ჩემი აზრით, თავისი შინაური პრობლემები რუსეთს უკარნახებს, რომ მან დადებითი როლი შეასრულოს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც. თუმცა, მაინც სიფხიზლე გვმართებს, ვიდრე რეალობად არ იქცევა ცეცხლის შეწყვეტა, მეთვალყურეები არ შეუდგებიან მუშაობას, არ მივიღებთ გარკვეულ გარანტიებს იმისა, რომ აღარ განახლდება კონფლიქტი და საბრძოლო შეტაკებები.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, ევროსტრუქტურების ამგვარი სახით მონაწილეობა, როგორც შეთანხმების პროექტშია მოცემული, პირველად ხდება. უშუალოდ მეთვალყურეების, სამშვიდობო ძალების შემოსვლა არის იმის გარანტია, რომ რუსეთმა თავისი სიტყვა შეასრულოს. ამაში მინდა თვითონაც დავრწმუნდე და საზოგადოებრიობაც დავარწმუნო.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, „დიდი შვიდეულის" მხრიდან მხარდაჭერის რა გარანტიები არსებობს, თუკი რუსეთი ერთხელ კიდევ გატეხს სიტყვას, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა:

— მე „დიდი შვიდეულის" თითოეულ ქვეყანას მივმართე წერილებით და პასუხებიც მოდის. პირველი პასუხი მივიღე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მასში ნათლად არის გამოხატული დიდი ქვეყნის პოზიცია. ჩემი აზრით, ეჭვს არ იწვევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც „შვიდეულის" სხვა ქვეყნები, იზიარებენ საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პოზიციებზე დგანან და მზად არიან, დაგვეხმარონ. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი ფაქტორია, რაზეც სხვა დროს ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. თუ რუსეთში გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც კვლავ შეეცდებიან, ხელი შეუწყონ საქართველოში არასტაბილურობის გამომწვევ პროცესებს, მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა გულგრილი აღარ დარჩება ამ მოვლენის მიმართ. ეს კარგად იცის რუსეთის ხელმძღვანელობამ. სხვათა შორის, ტოკიოში დიალოგის დროს ბატონმა ელცინმა არაერთხელ აღნიშნა, რომ იგი, პირადად, და რუსეთის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, საქმე ჰქონდეს ერთიან, მთლიან, განუყოფელ საქართველოსთან, სტაბილურ ქვეყანასთან, როგორც თავის

(დასასრული მე-2 გვ.)

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 26 ივლისს დღის განმავლობაში აფხაზეთის ფრონტებზე ძირითადად სტაბილური მდგომარეობა იყო შენარჩუნებული, აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

12 საათისათვის ოჩამჩირის რაიონში უნდა შემდგარიყო ტყვეთა გაცვლა, მაგრამ მოწინააღმდეგის მიზეზით ეს ჩაიშალა.

შუადღისათვის მოწინააღმდეგე საგრძნობლად გააქტიურდა შრომა-ახალშენის მიმართულებით, და სცადა შეტევის წამოწყება, მაგრამ ასეთი მცდელობა დასაწყისშივე იქნა აღკვეთილი.

17 საათზე მოწინააღმდეგემ „ურაგანის" ტიპის რეაქტიული დანადგარებით დაიწყო გულრიფშისა და აგუძერის დაბომბვა. რამდენიმე ჭურვი გასკდა გულრიფშის საავადმყოფოს ტერიტორიაზე — საავადმყოფოს შენობა დაზიანდა, დაიღუპა 1 და დაიჭრა 4 მშვიდობიანი მოქალაქე.

დაბომბვის დაწყებისთანავე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს გაუხსნეს საარტილერიო ცეცხლი და 10 წუთის შემდეგ აიძულეს შეეწყვიტათ დაბომბვა.

26-27 ივლისის ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგე მნიშვნელოვნად აქტიურობდა, როგორც შრომა-ახალშენის მიდამოებში, ასევე ზღვაზეც.

სოფელ შრომაში მიმდინარეობდა საკმაოდ ინტენსიური ბრძოლები არტილერიის გამოყენებით. ზღვაზე კი — სოხუმის სანაპიროზე მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სცადა სადესანტო ჯგუფებით მიახლოება ნაპირთან და დესანტის გადმოსხმა, მაგრამ სანაპირო დაცვის არტილერიამ ამის საშუალება არ მისცა.

27 ივლისს, დილის 6 საათისათვის სოხუმში, შუქურას რაიონში, გამოჩნდა სამხედრო თვითმფრინავი „სუ-25", რომელმაც სიმაღლეზე შემოავლო რამდენიმე წრე და შემდეგ გუდაუთის მიმართულებით მიიმალა.

იოსებ ბოსაძია

გაცვალეს ტყვეები

27 ივლისს, 12 საათზე მოხდა ტყვეთა გაცვლა, — ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან. გუდაუთის მხარემ გაათავისუფლა სამი ქართველი მებრძოლი, — ელგუჯა ზაზარული, არჩილ ბანძელაძე და ვალერი ყალიჩავა. ქართულმა მხარემ კი ორი რუსი ეროვნების ბოევიკი: დერებერინი და ტრაპეზნიკოვი. გაცვლაში გუდაუთის მხრიდან მონაწილეობდნენ რივაზ ზანთარია და ვახტანგ კობახია. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ტყვეთა გაცვლის კომისიის თავმჯდომარე პაატა ზაქარეიშვილი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, მაიორი სოსო მარგიშვილი.

ესეც თუ დასადგენია?!

27 ივლისს დილის 6 საათზე სადგურ სვირში ჯერ დაუდგენელი პირები ჩამოხსნენ ლიანდაგებზე და გადაკეტეს სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა, — თქვა რკინიგზის დეპარტამენტის მოძრაობის სამსახურის უფროსმა მამული კიკნაძემ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

- არც კონცეფცია, არც პროგრამა, არც ეკონომიკა. 2
- ხელოვნება, რომელმაც ქალაქები დააქმობილა. 4

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ჟ. შარტავასათვის „გენერალ-მაიორის" სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ჟიული შარტავას „გენერალ-მაიორის" სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ეჭვები, სინამდვილე და კითხვის ნიშანი ხვალინდელზე

გუშინდელი სხდომის დასაწყისი თითქოსდა წინანდელის ლოგიკური გაგრძელება იყო. დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან თქვა, რომ საქართველოს ტერიტორიის გამთლიანებისკენ მიმართული პროცესი დაიწყო და იგი მიმდინარეობს. შაბათის სხდომის შემდეგ ჩამოვიდა ბატონი ბორის პასტუხოვი, მოვითათბირეთ ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმების შესახებ. შეთანხმების ტექსტში შევიტანეთ ზოგიერთი კორექტივი.

ბატონი პასტუხოვი ახლა გუდაუთაშია, მან ტელეფონით საუბრისას თქვა, რომ გუდაუთის მხარე პრინციპში თანახმაა მოაწეროს ხელი დოკუმენტს. აქვთ ზოგიერთი სტილისტური შენიშვნა, კონკრეტულად როგორი — ჯერ არ ვიცით.

დოკუმენტზე ხელის მოწერა სოჭში მოეწყობა. მოსკოვის მხარეს წარმოადგენენ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი და სხვანი, საქართველოსას — ბატონები ვახტანგ გოგუაძე და სანდრო კავსაძე.

შემდეგ დეპუტატები შეთანხმდნენ დღის წესრიგით ემუშავათ, რაც თავისთავად ნიშნავდა აფხაზეთის საკითხისთვის გვერდის ავლას, მაგრამ მალე ცხადი შეიქნა, რომ საკანონმდებლო მუშაობის განწყობილება არავის ჰქონდა. ძალაუნებურად ყველა კვლავ ამ მტკივნეულ თემას ატრიალებდა სხვადასხვა რაკურსით.

ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, როგორც იქნა, შეძლო სხდომის დღის წესრიგის კალაპოტში ჩაყენება. ასე მიიღეს „კანონი იმიგრაციის შესახებ" და „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნის და გასვლის შესახებ".

თუმცაღა ფრაქცია „რესპუბლიკელების" განცხადებამ, რომელშიც „წინა ხელისუფლების პოპულისტური ნაციონალიზმით, ხოლო ახლანდელის ეროვნული ნიჰილიზმით დაღდასმული პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე" იყო საუბარი, კვლავ აფხაზეთისკენ შეაბრუნა სხდომის მიმართულება.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით გელა ნიკოლაიშვილმა წაიკითხა განცხადება, რომელიც ასეთი რიტორიკული შეკითხვით მთავრდებოდა — „ხელისუფლებას, რომელსაც ვერ ან არ გამოჰყავს ქვეყანა კრიზისიდან, აქვს მისი მართვის ზნეობრივი უფლება?.."

ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა კი დარბაზს მიაწოდა ასეთი ინფორმაცია, რომ ნატოს საბჭოს სხდომაზე საქართველოს წარმომადგენლის ბატონ ზურაბ აბაშიძის გამოსვლას, რომელშიც საუბარი იყო აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ, სხდომა მოწონებით შეხვდა.

დილის სხდომის მეორე ნაწილში მხოლოდ სპიკერის მოადგილის განსაკუთრებული მცდელობის შედეგად მოხერხდა კვლავ დღის წესრიგისკენ მიბრუნება. ლევან მესხმა განსახილველად გამოიტანა კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", ხოლო დავით კუპრეიშვილმა „კანონი პოლიციის შესახებ" (მეორე წაკითხვით).

აფხაზეთის საკითხმა ჩვენს დეპუტატებს ემოციათა დაახლოებით ერთი კვარტალის მარაგი გამოაცალა. ამიტომ დანარჩენი საკითხები უკვე მშვიდად განიხილებოდა. ისეთიც კი, როგორიც არის პოლიციის შესახებ კანონის ის მუხლი, რომელიც სამეურნეო სფეროში პოლიციის უფლებებს ეხება. მის განხილვას სხვა სიტუაციაში შესაძლოა გაცილებით მწვავე ფორმა მიეღო.

საქმე ის არის, რომ კანონის პროექტი პოლიციას, ამა თუ იმ სამეურნეო რგოლიდან დარღვევების, დანაშაულის შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში მასზე ოპერატიული რეაგირების უფლებას აძლევს. ამ საკითხზე შეხედულებები ისე მკვეთრად გაემიჯნა ერთმანეთს, რომ ეგრეთწოდებული „ოქროს შუალედის" არსებობა საერთოდ დაავიწყდა ყველას.

„ამ კანონს ამ სახით, თუ ეს მუხლი არ ამოვარდება, მე ხმას არ მივცემ!" — კატეგორიულად განაცხადა დამოუკიდებელმა დეპუტატმა ვასილ ბუზალაძემ ქარელის რაიონიდან და არგუმენტად თავის ამომრჩეველთა ეჭვი მოიტანა, რომ შესაძლოა პოლიციამ პარლამენტს მოსაყიდვით დასტყუა ეს უფლებაო. განსხვავებული არგუმენტაციით, მაგრამ არსებითად ამ უფლების საწინააღმდეგო პოზიცია დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმაც დაიკავა, მათ შორის ბატონმა ნოდარ ნათაძემ, რომელმაც მოითხოვა ამ პუნქტისთვის ცალკე კენჭისყრა.

„ასეთივე წარმატებით ჩვენ შეგვიძლია ვიეჭვოთ, რომ მეორე მხარე, ანუ ეგრეთ წოდებული „ჩრდილოვანი ეკონომიკა" თუ სხვა მაფიოზური სტრუქტურები ძალისხმევას არ იშურებენ საიმისოდ, რომ სამართალდამცავი ორგანოები სამეურნეო საქმიანობას ახლოს არ გააკარონ, რათა როგორც უნდათ და როცა უნდათ, ისე დაარღვიონ კანონი". — თქვეს საპასუხოდ ბატონმა გივი ლომინაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა ონის რაიონიდან გივი ლობჟანიძემ, რასაც ბევრმა დაუჭირა მხარი.

სხდომაზე რამდენჯერმე გაისმა, ამგვარი რამ: კონტროლის პალატისათვის უზარმაზარი უფლებების მიცემა განსაკუთრებული ბჭობის საგნად არ გვიქცევია, ახლა პოლიციისათვის ამ უფლების მიცემა რაღა გაგვიჭირდაო. ეს ალბათ წარსულიდან გადმოყოლილი სტერეოტიპით უნდა აიხსნას: სახალხო კონტროლი, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებად აღიზიანებდა ადამიანებს, ვიდრე მილიცია (ამასთან, ალბათ, არც ის არის გამორიცხული, რომ კონტროლის პალატისათვის დიდი უფლებების შედარებით იოლად გამეტება მისი თავმჯდომარის, რეზო შავიშვილისადმი პარლამენტის სიმპათიის ერთგვარი გამოხატულებაც იყო, რომელიც ჯერ კიდევ მისი თავმჯდომარედ დანიშვნის დროს ხმის მიცემისას გამოჩნდა — მაშინ ბატონმა რეზომ ხმათა რეკორდული რაოდენობა მიიღო). ამიტომ იმის წარმოდგენაც კი, რომ მეწარმე მილიციელის წინაშე შიშით უნდა თრთოდეს, აღარავის უნდა.

— ჩვენ, კანონის შემდგენლებს ძალიან კარგად გვესმის, რატომ არის მიუღებელი ადამიანებისათვის აღნიშნული პუნქტი, — თქვა დავით კუპრეიშვილმა, — მაგრამ ვითვალისწინებთ ჩვენში არსებულ ვითარებას, რომ ტოტალურ დანაშაულობასთან ბრძოლას განსაკუთრებული ღონისძიებები სჭირდება. ღმერთმა ქნას, მომავალში მივაღწიოთ იმას, რომ ეს პუნქტი საჭირო აღარ იყოს და მისი ამოღება უიოლესი რამ არის. გარდა ამისა, მართლწესრიგის და კანონიერების დაცვის კომისია პირობას გაძლევთ, განსაკუთრებით მივადევნოთ თვალი იმას, თუ როგორ მუშაობს ეს პუნქტი, და თუ ნეგატიური, ეგრეთ წოდებული გვერდითი მოვლენები გაუჩნდება, შესაბამისი ღონისძიებები განვახორციელოთ.

საღამოს სხდომაზე კანონი პოლიციის შესახებ მიიღეს სამი პუნქტის (სამეურნეო საქმიანობაზე პოლიციის კონტროლის უფლება, მუნიციპალური პოლიციის შექმნა და ამონაგების 15 პროცენტის პოლიციის განკარგულებაში დატოვება), რომლებიც გადამუშავდება, ალტერნატიულ ვერსიებს შეჯერდება და ისე დადგება კენჭისყრაზე.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

ედუარდ შევარდნაძე:

გადავდგათ ის ნაბიჯი, რომელსაც მშვიდობისაკენ მიმავალ გზას ვუწოდებთ

(დასასრული)

უახლოეს მეზობელთან, რომელთანაც ისტორიულად ყოველთვის დიდი კავშირები ჰქონდა.

შეკითხვაზე, რომ ახლანდელი სიტუაცია წინააღმდეგობაში ხომ არ არის სახელმწიფოს მეთაურის არაერთგზის ნათქვამთან აფხაზეთში ომის ღირსეულად დამთავრებასთან დაკავშირებით, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

— კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ეს არის მხოლოდ პროექტი, რომელმაც, თუ ხელს მოვაწერთ, უნდა მიგვიყვანოს ომის ღირსეულად დამთავრებამდე. მე არასოდეს მითქვამს: ჩვენ გავიმარჯვებთ, დავამარცხებთ აფხაზებს. არ არის ასე. ისევ მოვა დრო, როცა ვიტყვით, რომ ძმები ვიყავით და ძმები ვართ. შეუძლებელია იმის თქმა, რომ შენს ხალხს, მის რომელიმე ნაწილს დაამარცხებ. ამიტომ, როდესაც მე ომის ღირსეულად დამთავრებაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ამ კონფლიქტის ისე დამთავრება, რომ არ იყოს დამარცხებული — არც ქართველობა და არც აფხაზობა. რაც შეეხება ჩვენს საზრუნავს, რომ ვიყოთ ერთიანი, მთლიანი ტერიტორიულად, ეს აღიარებულია რუსეთის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროსტრუქტურების მიერ. ამაზე აღარც აფხაზები დაობენ, ყოველ შემთხვევაში — ახლა. საქართველოს მთლიანობა და განუყოფლობა უნდა იყოს ჩვენი მთავარი საზრუნავი. სხვა დანარჩენი მოგვარდება.

ჟურნალისტის კითხვაზე, ცოტა ნაჩქარევი ხომ არ იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გუდაუთის დაჯგუფებებისადმი ამას წინათ წაყენებული ულტიმატუმი, მით უმეტეს, დღევანდელი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ბატონმა შევარდნაძემ უპასუხა:

— ეს ულტიმატუმი, როგორც ბატონმა გია ყარყარაშვილმაც განაცხადა გამოსვლაში, ერთ ლოკალურ ოპერაციასთან იყო დაკავშირებული — სოხუმში შემოჭრის საფრთხესთან. ჩემი აზრით, ამ ღონისძიებას გარკვეული პროფილაქტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამასთან, მან გარკვეულად გამოაფხიზლა და დააიმედა კიდეც პირადი შემადგენლობა, რომელიც შეტევაზე გადასვლას მოითხოვდა. ეს იმის ნიშანიც იყო, რომ შეგვიძლია არა მხოლოდ თავდაცვა, არამედ შეტევაც.

დახურულ სხდომაზე ჩვენ ყველაფერი გავარჩიეთ, ვთქვით ისიც, რაც ჯერ არ გვითქვამს — რა რეზერვები, საშუალებები გვაქვს, რამდენ ხანს შეგვიძლია გავუძლოთ ამ ომს. ვერ გეტყვით, რომ, თუ ხვალვე არ შევწყვიტეთ ომი, საქართველო შიმშილით გაწყდება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აფხაზებსაც გაუჭირდებათ და ქართველებსაც, მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბები სულ სხვადასხვაა. არც რესურსები და არც ფინანსური საშუალებები გაუთავებელი ომისათვის საქართველოს არ გააჩნია. ამიტომ ვთქვი, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა ომისა და სისხლისღვრის დროულად შეწყვეტა. სერიოზული საუბარი იყო სოხუმზე, სოხუმელების ბედზე. მე მინდა დავარწმუნო სოხუმელები: ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და გავაკეთებთ იმისათვის, რომ სოხუმი არ დაეცეს. ამ შეთანხმების ხელმოწერაც, უწინარეს ყოვლისა, იმით იქნება ნაკარნახევი, რომ სოხუმი გარანტირებული იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისაგან.

როცა ვამბობთ, რომ მშვიდობას უნდა მივაღწიოთ, სისხლისღვრა უნდა შეწყდეს, მე მგონი, სწორედ იმ ახალგაზრდების ხსოვნას ვცემთ პატივს, რომლებმაც თავი შესწირეს ქვეყანას. ისინი იმისათვის არ იბრძოდნენ, რომ ომი და სისხლისღვრა გაუთავებელი ყოფილიყო. მე მრავალი ოჯახი მინახავს, განსაკუთრებით აფხაზეთში, რომელიც დედისერთას ასაფლავებდა. იქ მისულს, დაღუპულის დედა, როგორც იტყვიან, კისერზე ჩამომკიდებია და უთქვამს: დაე, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი და მეტი ნურავინ დაიღუპებაო. ასე მსჯელობენ ეს ოჯახები. და ვფიქრობ, რომ სწორედ მათ გულისთქმას ვეხმიანებით, როცა ვფიქრობთ ომის დამთავრებაზე. მე მინდა, რომ ეს ჩემი უბრალო ინტერვიუ კი არა, ჩემი ხალხისადმი მიმართვა იყოს. მე, პრაქტიკულად, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ცოტა კიდევ წავიმუშაოთ და ხელი მოვაწეროთ ამ პროექტს. ეს ჩემი მისიაა, ჩემი მოვალეობა და უფლებაა, უფრო სწორად, და მინდა მივმართო ჩემს ხალხს: უნდა გამიგოთ, სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. არც კი მინდა გავიხსენო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვიღაცას სპეციალურად მიჰყავდა საქმე აქეთკენ, იმდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია იგი ჩემთვის. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, ვინც უნდა იყოს, რომელ პარტიასა და მიმდინარეობასაც უნდა წარმოადგენდეს, რომ თავისი ქვეყნის საქმე გარდაუვალი კაპიტულაციისაკენ წაიყვანოს. მე მგონი, ეს არა მარტო ყველაფრის პრიმიტიული ახსნაა, არამედ, ცოტა არ იყოს, ბოროტი და ცუდი მიდგომაა საქმისადმი. ამიტომ მივმართავ ჩემს ხალხს, რომ დამიჭიროს მხარი. სახელმწიფოს, ერის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ვიღაცას უნდა ენდო, ვიღაცამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თავის თავზე. მე იმიტომ არ დამიყენებია საკითხი დოკუმენტის თაობაზე პარლამენტში, რომ პარლამენტმა იგი მოიწონოს ან არ მოიწონოს. პარლამენტი თავისუფალი უნდა იყოს. პასუხისმგებლობას მე ვიღებ ჩემს თავზე. მაგრამ პარლამენტის მსჯელობა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან დავრწმუნდი: ჩემი მოქმედება ამ შემთხვევაში სწორია. უნდა დავიწყოთ, გადავდგათ ეს ძალიან მძიმე ნაბიჯი. შეიძლება ზოგიერთი რამ არ არის მთლად გამართული, არ უპასუხებს ჩვენს ინტერესებს დღევანდელობის თვალსაზრისით, მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ ხვალინდელზე, იმაზე, რომ გადავარჩინოთ ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყანა და დავიწყოთ ნორმალური ცხოვრება, ვფიქრობ, რომ სწორი გზით მივდივართ. ვისი ხელით მოხდება ეს — გაეროს, უშიშროების საბჭოს, ევროპული სტრუქტურების დახმარებით თუ რუსეთის მონაწილეობით, მთავარი არ არის. მიმაჩნია, რომ უნდა დავივიწყოთ ბევრი წყენა და მთავარი ამოცანა გადავწყვიტოთ — დავიწყოთ სტაბილური საქართველოსათვის ბრძოლა და შრომა. ამიტომ მინდა ვთხოვო ჩემს ხალხს, სწორად გამიგოს. ჩვენ ძალიან გვჭირდება მხარდაჭერა, ისევე, როგორც ჩვენს ჯარს, იმ ბიჭებს, რომლებიც გარკვეულ ხანს კიდევ დარჩებიან იმ პოზიციებზე, სადაც დგანან.

— თქვენ ხალხის მხარდაჭერა არ გაკლიათ, ხაზი გაუსვა ჟურნალისტმა, — მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი ცნობიერება თითქმის დაშლის პირას არის მისული. აქედან გამომდინარე, არის ნაწილი საზოგადოებრიობისა, რომელიც ყველაფერს ძალიან მუქ ფერებში აღიქვამს. მაგალითად, ბატონმა თენგიზ კიტოვანმა სხდომაზე განაცხადა, რომ ამ დოკუმენტის მიღებას ძალიან ცუდად გაიგებს სამეგრელოს რეგიონი. თქვენ ხედავთ ამის საფუძველს?

— არა მგონია, რომ სამეგრელომ ცუდად მიიღოს ყველაფერი ის, რაც მშვიდობასთან და ომის დამთავრებასთან არის დაკავშირებული. ბევრი ახალგაზრდა შეეწირა ამ ომს სამეგრელოდან. ამას წინათაც დავასახელე რამდენიმე მაგალითი. ერთმა სენაკელმა ახალგაზრდამ ნაღმი აიფეთქა, თვითონაც დაიღუპა და 12-18 მოწინააღმდეგეც თან გაიყოლა. ასეთი ბევრია იმ კუთხიდან. მჯერა, რომ ყველა ოჯახს უნდა ომის დამთავრება. რა აქვს ან სამეგრელოს, ან კახეთს, ან რომელიმე სხვა კუთხეს გასაყოფი აფხაზეთისაგან და აფხაზებისაგან. საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობდით და ვფიქრობ, ვიცხოვრებთ.

მეორე, რაც ითქვა პარლამენტში და იმავე ავტორის მიერ ინტერვიუებშიც აღინიშნა, რომ მოვიდა დრო, შევარდნაძე წავიდეს, გადადგეს. ბატონი ირაკლი წერეთლისათვის უკვე ნორმად იქცა, ყველა მოსახერხებელ თუ მოუხერხებელ შემთხვევაში დააყენოს საკითხი სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის შესახებ. უნდა განვაცხადო, რომ იქნებ ჩემი ოცნებაც არის, დავამთავრო პოლიტიკური მოღვაწეობა და დავიწყო ის, რასაც უნდა აკეთებდეს ადამიანი ამდენი ნანახისა თუ განცდილის შემდეგ. ვინც უნდა მოითხოვს ჩემი გადადგომა, ვაცხადებ, რომ არ გადავდგები, სანამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან. როცა ომი დამთავრდება, როცა დავიწყებთ ნორმალურ ცხოვრებას, ჩავდგებით კალაპოტში, მერე მოთხოვნაც არ იქნება საჭირო. მაგრამ ახლა ვიღაცეების პირადი ამბიციების მიხედვით სახელმწიფოს მეთაური ვერ იმოქმედებს, რადგან ეს ჩემთვის კანონი არ არის. ჩემი კანონი ჩემი ხალხის ნებაა, რომელმაც ამირჩია და მე მოვალე ვარ, ვემსახურო მას, სანამ შემიძლია.

ფიქრები „ბიზნესფორუმზე"

ბიზნესი... ყველას გვახსოვს არცთუ შორეულ წარსულში რაოდენ უცნაურად ჟღერდა ეს სიტყვა ჩვენს ყურსა და გონებას. უფრო მეტიც, „ბიზნესმენს" თუ შეგარქმევდა ვინმე, წინასწარ უნდა გცოდნოდა, რომ არც შენ და არც საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებდი, რბილად რომ ვთქვათ, გახარება არ ეწერა.

ათწლეულების მანძილზე ლამის არის ენა გაგვიცვდა იმ საზიზღარი ბიზნესმენი კაპიტალისტების ლანძღვა-გინებით, მთელი მსოფლიოს თვალწინ ასე თავხედურად ლუკმას რომ აცლიდნენ პირიდან მშრომელთა ფართო მასებს...

ახლა ჩვენც მოგვადგა კარზე ბიზნესი... როგორ შევხვდით მის მობრძანებას? — ცხადია, ჩვენებურად... ქალაქები, გზები, სოფლები, ჯიხურებით, წვრილ-წვრილი კომერციული მაღაზიებით ავავსეთ, ასტრონომიული ფასები დავაწესეთ და ისე ვიქცევით, რომ ადამიანებს, ვინც ჯერაც ვერ გარკვეულა ნაღდი, თანამედროვე ბიზნესის სიკეთეთა თუ დანიშნულებაში, ლამის არის, მისი სახელი თუ სახსენებელი შევაძულოთ.

„ჯიხურო-თუ-შოპომანია", როგორც იტყვიან, ეს „წვრილფეხობაა" ყოველ ახალ მოვლენას, რომ დაჰყვება ხოლმე. ნამდვილ ბიზნესს კი სულ სხვა გაქანება, ალღო, პატიოსნება, გამოცდილება და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი აზროვნება და თანადგომა სჭირდება იმისათვის, რომ იგი სიცოცხლისუნარიანად დამკვიდრდეს ჩვენს ეკონომიკაში, თითოეული ჩვენგანის შემეცნებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნახეთ, ერთი, რა დღეში არიან ჩვენი ქვეყნის უცხოელი მეგობარი-ბიზნესმენები... დღე ერთია და, დიდი თუ პატარა ძღვენი — ათასი! ზოგი, მედიკამენტებთან ერთად, მთელი კლინიკების მოწყობილობას გვიგზავნის, ზოგიც ახალ ტექნოლოგიებსა და ერთობლივ საწარმოებს გვთავაზობს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ბიზნესმენთა მთელი ჯარი კარზე გვყავს მომდგარი და ვინ იცის, რამდენ სიკეთეს გვარგებდა იმისათვის, რომ ჩვენი შიდააშლილობის გამო, ჯერაც ვერ შეგვიქმნია მათთვის ფართო სასპარეზო.

მართლაც, რამდენ უპასუხისმგებლობას, უვიცობას, უხეშობას, ძალადობას მოეღებოდა ბოლო, ჩვენ რომ ნამდვილი ბიზნესისთვის მიგვეცა გასაქანი, რომ იტყვიან, სულ რაღაც ორიოდ წელიწადში ვეღარ ვიცნობდით საქართველოს, მის ეკონომიკას, სოციალურ ყოფას.

ბიზნესი ის ის სფეროა, რომელიც თავისთავად მოითხოვს და ქმნის მისი განვითარებისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, ამკვიდრებს ახალ საწარმოო თუ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებს, პატიოსნებასა და გამტანობას პარტნიორობის დროს, და რაც მთავარია, შრომას, მუხლჩაუხრელ პროფესიონალურ შრომას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე ესოდენ სანატრელი გაგვიხდა ჩვენს სამშობლოში.

ასე რომ, დღეს ომი მარტო აფხაზეთში როდი გვაქვს მოსაგები, ომი უნდა მოვიგოთ მეორე არანაკლებ მძიმე და საპასუხისმგებლო — ეკონომიკის, ბიზნესის ფრონტზე, რათა შევქმნათ სათანადო პირობები ჩვენი გაპარტახებული ქვეყნის ხელახალი აღორძინებისათვის. ამას კი, საერთო ძალისხმევა, დიდი გონიერება და ჯაფა დასჭირდება, აკი ამიტომაც დამკვიდრდა და მკვიდრდება ჩვენში ახალ-ახალი კონცერნები, ასოციაციები, ფირმები, ბანკები, ბირჟები. რომლებსაც თუ სათანადო საკანონმდებლო საფუძველს შევუქმნით, ბევრი სასიკეთო რამ ძალუძთ გააკეთონ ჩვენი ქვეყნისათვის. უკვე გამოჩნდა ახალი თაობის მეწარმეთა პირველი ჯგუფებიც. ერთი სიტყვით, გამოკრთა იმედის სხივიც და შეიქმნა ერთგვარი ნიადაგი იმისათვის, რომ ქართული ბიზნესი ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესურთიერთობებში.

უკანასკნელ ხანს, ამისათვის მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა შეიქმნა. შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამეგობრობის დაფუძნებამ დიდი პერსპექტივა დაუსახა ჩვენს ქვეყანას, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაფართოების დარგში, შეიქმნა „თავისუფალ მეწარმეთა ეროვნული კავშირი, კავკასიის კონცერნის ინიციატივითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „ბლექ სი ბიზნეს ცენტრი" (შავი ზღვის ბიზნეს ცენტრი), რომელსაც ბევრი კარგი და სასიკეთო საქმის გაკეთება აქვს განზრახული.

ამ საინტერესო გზაზე გადადგმული პირველი საგულისხმო ნაბიჯი გახლდათ ამ დღეებში ქობულეთში გამართული ქართველ ბიზნესმენთა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ამასწინანდელი პირველი შეხვედრა-ფორუმი, რომელზეც მეც გახლდით მიწვეული და აქედან გამომდინარე, შევეცდები, გავუზიარო მკითხველს ფორუმზე მიღებული შთაბეჭდილებები.

უცნაური ხალხი ვართ ჟურნალისტები — აი ქობულეთში, ზღვაზე თანაც ბიზნესმენთა ფორუმზე გიწვევენ და მაინც რაღაც გული გეთანაღრება, რაღაც გეხამუშება. ძნელია, მით უმეტეს, ახლა, ამ დროს, როცა დღეს თითოეული ჩვენგანის გონება აფხაზეთისკენ არის მიპყრობილი, როცა ყოველდღიურად გული გაქვს ამოვარდნაზე, უცებ გადაერთო სხვა ტალღაზე და ერთი კვირა „ინებივრო" ზღვასთან და ბიზნესმენებთან ერთად. მაგრამ, როგორც მალე გავარკვიე, არც ისე სანებივროდ ყოფილა საქმე. ჩვენი ბიზნესმენები თურმე, ჩვენზე მეტს ფიქრობენ აფხაზეთზე და არა მარტო ფიქრობენ... ბევრსაც აკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად იომონ და ილოცონ ჩვენმა ბიჭებმა. მაგრამ ის, რასაც დღეს ამ კუთხით აკეთებს ჩვენი ახლადფეხადგმული ბიზნესი, მართლაც წვეთია ზღვაში იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს ჩვენი კერძო ბანკების, საწარმოების, ბირჟების, ფირმებისა და ასოციაციების ერთობლივ ძალისხმევას, ერთ მუშტად, ერთ სისტემად ჩამოყალიბებას. სწორედ ასეთი ერთობლივი ძალისხმევის, ურთიერთთანამშრომლობისა და თანადგომისათვის აუცილებელი პრობლემების გადასაწყვეტად შეიკრიბა ქობულეთში ქართველ ბიზნესმენთა და მეწარმეთა ეს პირველი ფორუმი.

ქობულეთის ზღვისპირეთის ულამაზესი სასტუმრო „ივერია", მისი საკონფერენციო დარბაზი, ლამაზად იყო გაფორმებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სახელმწიფო დროშებით, ემბლემებით, მაგრამ ყველაზე გადამწყვეტად აქ მაინც მეჩვენა საერთო სურვილი ამ საქმიანი შეხვედრების დამკვიდრებისა.

ამიტომაც იყო, რომ შეხვედრა-ფორუმის გახსნაზე ქობულეთში ჩამოვიდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

— მართალია, — აღნიშნა მისალმებაში ბატონმა ასლანმა, — ჩვენს დღევანდელ შეხვედრას, გასაგები მიზეზების გამო, ისეთი მასშტაბები არ აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ბიზნესმენთა ფორუმს, მაგრამ ის, რაც დღეს შედგა, უდავოდ დიდი გამარჯვებაა. დღეს ერთად ვართ ბანკების, საწარმოების, ფირმების, ასოციაციების წარმომადგენლები და ეს ცოტა როდია. მხოლოდ ბიზნესმა, ვაჭრობამ, შრომამ უნდა განდევნოს ჩვენი, ჩვენი ხალხის შეგნებიდან იარაღი, ბრძოლა და დაპირისპირება.

ცხადია, ბიზნესმენთა შეკრებაზე უმთავრესი თემა მაინც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის მძიმე კრიზისიდან გამოყვანის პრობლემები იყო. ბატონმა ასლან აბაშიძემ განუცხადა ბიზნესმენებს, რომ დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არის საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, მაგალითად, აფხაზეთში, ფოთში, ბათუმში. ითქვა, რომ აქ კარგა ხანია, სწავლობენ ამ პრობლემებს.

ამ მიზნით, აჭარის სპეციალისტები უკვე იყვნენ სანკტ-პეტერბურგში, კალინინგრადში, მეზობელ თურქეთში, სადაც 7 ეკონომიკური ზონა მოქმედებს...

ახლახან, ვენაში ასლან აბაშიძის ვიზიტის დროს, ბათუმში ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხით დაინტერესდა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის „იუნიდო". გადაწყდა ისიც, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია შეისწავლის და მოამზადებს სათანადო პროექტს ბათუმში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე. ჩვენთან კი, როგორც აქ ითქვა, ზოგიერთ ხელისუფალს, რატომღაც, სურს შეაყოვნოს აჭარაში ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი. არიქა, არაფერი მოხდეს, საზღვართან ახლოა, არ გაძლიერდეს და სხვისკენ არ გაიხედოს აჭარამ. სასაცილოა ეს, სატირალი რომ არ იყოს. სწორედ ეს ეჭვისა და უნდობლობის სინდრომია დღეს ყველაზე მეტად რომ აღელვებთ აჭარლებს. მართლაც, წარმოიდგინეთ რა სასპარეზო შეექმნებოდა ჩვენს ქართულ ბიზნესს, თუ აჭარით დაწყებული, ფოთისა და აფხაზეთის ჩათვლით, ეკონომიკური ზონების პრინციპით იშრომებს და იღვაწებს ყველა. მხოლოდ ასე შეგვეძლება მოვიშუშოთ ომით მოყენებული მძიმე ჭრილობები, ავაშენოთ დანგრეული ქალაქები, სოფლები, ავაღორძინოთ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ეს უნდა გახდეს ჩვენი ეროვნული ეკონომიკის აღორძინების პრიორიტეტული მიმართულება და, როგორც ჩანს, გახდება კიდეც, რადგან, როგორც ამ დღეებში ვნახეთ, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც ამ დღეებში რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლების თანხლებით ეწვია ბათუმს, დადებითი შეფასება მისცა აჭარის, მათი ხელმძღვანელის ძალისხმევას ამ მიმართულებით.

გზად მომავლისკენ

საერთოდ კი, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა „ბიზნესფორუმის" მუშაობის დროს. აღინიშნა, რომ, ხელისუფლებამ ჯერაც ვერ მოიცალა იმისათვის, რომ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებას. ბევრი შენიშვნა გამოითქვა რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გამძაფრებას. ზღუდავს ბიზნესმენთა და მეწარმეთა ინიციატივას. ამას ზედ ერთვის აგრეთვე ყოვლად გაუმართლებელი დაბეგვრის სისტემა, რაც საბოლოოდ ხელფეხს უბორკავს ბიზნესმენებსაც და მეწარმეებსაც...

მთელი რიგი შენიშვნები იყო ჩვენი მთავრობის მისამართითაც. — ითქვა რომ, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს ამ დარგის განვითარების საკანონმდებლო უზრუნველყოფას, მაშინ მისი მართვა უნდა განხორციელდეს ე. წ. ნორმატიული აქტების მეშვეობით. გამოითქვა იმედი იმისა, რომ ახლა, როცა ჩვენს სახელმწიფოს მეთაურს აქვს დამატებითი უფლებამოსილებანი, იგი გამოიყენებს ამ შესაძლებლობებს და შექმნის შესაბამის პირობებს საქართველოს მეწარმეთა და ბიზნესმენთა წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

[illegible] საინტერესო იყო ფორუმზე ჩვენი კომერციული ბანკების წარმომადგენელთა მიერ წამოყენებული წინადადებები. აქ უმთავრესი კი ის გახლდათ, რომ გადაწყდა შეიქმნას დამოუკიდებელი კომერციული ბანკების არასახელმწიფო ეროვნული ასოციაცია, რომელშიც გაერთიანდება რესპუბლიკის ყველა კომერციული ბანკი. კომერციული ბანკის „გულანის" პრეზიდენტმა ბატონმა ვაჟა ჯინჯიხაძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა ფორუმის საბანკო სექციის მუშაობას, აღნიშნა, რომ ასეთ გაერთიანებას უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია საქართველოსათვის. მართლაც, ახლა, როცა საქმე ისე წავიდა, რომ წარმოების განვითარებისათვის საჭირო აუცილებელი გრძელვადიანი კრედიტის მიღება ეროვნული ბანკიდან აუხდენელ ოცნებად იქცა, ასეთ გაერთიანებას, საერთო ძალისხმევას, საერთო სახსრების გამოყენებას, წინასწარ შემუშავებული პროგრამების უზრუნველსაყოფად, მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიტომაც იყო, რომ ფორუმის მონაწილე 14 კომერციული ბანკის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ასეთი ასოციაციის შექმნას, რაც „ბიზნესფორუმის" ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითვალოს. მას ექნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ამასთან, წარმოადგენს და დაიცავს არასახელმწიფო ბანკების ინტერესებს ხელისუფლებისა და მთავრობის ორგანოებში.

საყურადღებო იყო ისიც, რომ ფორუმმა შექმნა შესაძლებლობა, მასში მონაწილე ფირმების, ბანკების, კომპანიების ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისათვის. ბევრ საინტერესო წინადადებას, გარიგებას აქვე დაედო სათავე და იმედი გვაქვს, რომ ისეთი ფირმები, როგორიც არიან „კავკასიის კონცერნი", „ამირანი", „ცეკავშირი", „აჭკო", „კავკასიის სადაზღვევო კომპანია", „გულანი", „ორბი", „საქკურორტი", და სხვები საფუძვლიანად გამოიყენებენ აქ მიღწეულ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებებს და ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ. პრიორიტეტული კი ცხადია, აქ, აფხაზეთში ჩვენი მეომარი ბიჭების, მათი არმიის თანადგომა და მხარდაჭერა იყო.

არც მეგონა, თუ ამდენი შეიძლოთ ჩვენს ახალფეხადგმულ ბიზნესმენებს — მილიონობით თანხების გადარიცხვა თავდაცვის ფონდში, ასეულობით ტონა სურსათ-სანოვაგის, იარაღის, ტყვია-წამლის, ჩასაცმელ-დასახურის გადაცემა! ყოველდღიურად მიედინებოდა აფხაზეთისაკენ სიკეთე. ამიერიდან ეს ძალისხმევა, კიდევ უფრო გაათკეცდება, რადგან დღეს გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის ღირსების, თავისუფლების შენარჩუნებაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის უმთავრესი ამოცანა გახდა.

ყველას დაგვამახსოვრდა ფორუმზე მოწყობილი ე. წ. „აჭარის დღე", ეს არ გახლდათ, მასპინძლებისათვის თავაზიანი მადლობის სათქმელად გამიზნული ღონისძიება. ჩვენს წინაშე ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის, სატრანსპორტო გადაზიდვების, საბანკო საქმის, საზღვაო ტრანსპორტის და სხვა აქტუალურ მიმართულებათა მიხედვით შემუშავებული პროექტების შესახებ ფორუმის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ აჭარის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური გარდაქმნის კომისიის თავმჯდომარე ზვიად ბეჟანიძე, აჭარის საზღვაო ბანკის პრეზიდენტი როსტომ ბოლქვაძე, ზაზა მიხელაშვილი და სხვები, რომლებმაც თავიანთი მაღალი კომპეტენტურობით, მართლაც ღრმა შთაბეჭდილება დატოვეს ფორუმის მონაწილეებზე, როდესაც გაიმართა ფართო მსჯელობა აღნიშნულ პროექტებში ქართველ ბიზნესმენთა მონაწილეობისა და როლის შესახებ. სიმართლე გითხრათ, ერთ რამედ ღირდა ამ ახალგაზრდების ცქერა და მოსმენა.

ვფიქრობ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ბიზნესფორუმში" საქართველოს პარლამენტის წევრის ვიქტორ ლორთქიფანიძის, სახელმწიფო მეთაურის აპარატის წამყვანი სპეციალისტებისა და მრჩევლების — ნუგზარ გაჩეჩილაძის, დავით ლომოურის და ამ ფორუმის ერთერთი ორგანიზატორის გია სიგუას მიერ გაწეული მუშაობა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ხელმძღვანელობის სახელით, ჩვენც შევთავაზეთ აქტიური თანამშრომლობა რესპუბლიკის მეწარმეებსა და ბიზნესმენებს. მართლაც, ახლა როცა ახლად ყალიბდება საბაზრო ურთიერთობანი, როცა ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ნაკლებად ფლობს თანამედროვე ინფორმაციას ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის შესახებ, ჩვენს რედაქციას, მართლაც რომ კარგი სამსახური შეუძლია გაუწიოს ერთის მხრივ, ბიზნესმენებს, მეორეს მხრივ — ჩვენს საზოგადოებრიობას. დავსახეთ თანამშრომლობის, საგაზეთო ჩანართის, ერთობლივი სარეკლამო სამსახურის შექმნის გეგმები.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ქობულეთში გამართულ შეხვედრებს ბევრი სასიკეთო და საგულისხმო რამ მოჰყვა და მოჰყვება!

მთავარი ის არის, რომ ფორუმი შედგა. დაფუძნდა შავი ზღვის ბიზნესმენთა შეხვედრები, რაც, მომავალში კარგ ტრადიციად იქცევა. ამას გარანტიას გვაძლევს ახლადშექმნილი „ბლექ სი ბიზნეს ცენტრის" მართლაც დაუღალავი და მრავლისშემძლე კოლექტივი, რომელიც ბევრ სიახლესა და სასიამოვნო წამოწყებას გვპირდება.

ასე, მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში კიდევ ერთი კარგი ტრადიცია — „ბიზნესფორუმი".

კეთილი იყოს!

გია ჭელიძე.

რამდენად სწორია ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკა

თვალსაზრისი

რამ გამოიწვია ეკონომიკის ნგრევა? — იგი განაპირობა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობამ.

სწორად არ ვთვლით იმათ მოსაზრებებს, ვისაც მიაჩნია, რომ ღრმა ეკონომიკური კრიზისი გარდუვალი იყო. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, მმართველობითი კრიზისი, ისტორიული განვითარების კვალობაზე მართლაც გარდუვალი იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ისეთი სიმძაფრითა და კატასტროფული შედეგებით, როგორიც მივიღეთ, ვიგრძენით (მომავალშიც ვიგრძნობთ). **სწორი სტრატეგიისა და, რაც არსებითია, მობილური ტაქტიკის განხორციელებისას, შერბილებულად, ნაკლებად მტკივნეულად, ნაკლები მსხვერპლით შეიძლებოდა რთული, ზიგზაგისებური პროცესის რეგულირება. ეს შანსი საქართველომ არ გამოიყენა. შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.**

როცა ეკონომიკა ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადადის, აუცილებელი ხდება მკაცრი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, ფსიქოლოგიური გარდატეხა. მას გვერდითი მოვლენებიც ახლავს (თვით განვითარების ლოგიკა ამას ადასტურებს).

ეს მომენტი არ იქნა გათვალისწინებული მოქმედების მიმართულებათა განსაზღვრისას. უფრო მეტიც, კომპლექსურად არ იქნა გააზრებული როგორ პრინციპებზე აშენებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა მომხდარიყო გლობალური გარდაქმნები, იყო თუ არა მომზადებული სათანადო საფუძველი „თვისებრივი ნახტომისათვის".

ეკონომიკური გარდაქმნების რთული პროცესის სამართლებრივი, მატერიალური, ფინანსური, ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე „თვისებრივი ნახტომი" გააკეთა ახალმა მთავრობამ, რომელიც ეროვნული დროშით გამოდიოდა.

ობიექტური უნდა ვიყოთ — ხალხი კმაყოფილებით შეხვდა არსებული ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევის (და არა თანდათანობითი დაშლის) დაწყების კურსს იმ რწმენით, რომ სოციალისტურ ეკონომიკას მალე დააღწევდა თავს. შემოთავაზებული პოლიტიკური კურსი და მოსახლეობის უმეტესი ნაწილის განწყობა ერთმანეთს დაემთხვა. ეს კი პოლიტიკური კურსის განხორციელების ძლიერ ფსიქოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენდა. ამიტომ, ხელისუფლებამ მორიგი ნაბიჯი არ დააყოვნა: დაიწყო სამინისტროების გაბლიჩა-შეერთება, მათი როლის დაკნინება, მათი — „გადაფუნქციონირება". სახელმწიფო საწარმოების, მეურნეობების, კოლმეურნეობების, ფერმების, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ყოველგვარი ანალიზისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაცია (ეს კი დიდი შეცდომა აღმოჩნდა).

ეკონომიკის მართვაში გამოუცდელი კადრები მოვიდნენ. კრიზისი გამწვავდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან საქართველო სამეურნეო ურთიერთობებს მოწყდა, დამატებითი იმპულსი მიეცა ქვეყანაში არსებული სტრუქტურების ნგრევას, ალტერნატიულის შექმნაზე არავინ ფიქრობდა. დაფიქსირდა **მოსახლეობის ქცევის ახალი მოდელები, რომლებიც რეფორმების ჩატარებას ხელს უშლის. სამწუხაროდ, მათ სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ აკონტროლებენ. ეკონომიკის ძარცვა ლამის თითოეული მოქალაქის ეროვნულ ღირსებად ჩაითვალა (?!).**

ამუშავდა ნაძარცვი და სპეკულანტური გზით შეძენილი ეროვნული ქონების თურქეთში მასობრივად გაზიდვის „ძლიერი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი" (თურქეთის ბაზარზე საქართველოდან გაზიდული არა მარტო დოვლათი იყიდება, არამედ ზოგიერთი ქართველის ღირსებაც).

რთული პროცესების არასწორად განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ხელმძღვანელმა სამეურნეო კადრებმა. იქ, სადაც საწარმოს, კოლექტივის ხელმძღვანელი თვითონ იცავდა სახელმწიფო ქონებას, მხოლოდ უმნიშვნელო დანაკარგები დაუშვეს.

რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა ჯადოსნური წრე: ეკონომიკის მესვეურნი, საერთო პასუხისმგებლობას რომ გრძნობდნენ, შეეცადნენ ზოგიერთი ლოკალური ღონისძიებებით შეექმნათ „დიდი გარდაქმნების" დაწყების ილუზია; ამავე დროს „საიმედო კადრებზე" დაყრდნობით საფუძველი ჩაეყარა ეროვნული ეკონომიკის გავლენის სფეროებად განაწილების პროცესს. მისი პირველი ეტაპი შესაშური ოპერატიულობით დასრულდა, და ლოგიკური შედეგიც დადგა — ეკონომიკა, როგორც ასეთი, სახელმწიფო რეგულირების სფეროდან „სუფთად" გამოვიდა.

ამრიგად, მოქმედებამ დაასწრო მისი შედეგის რეალური აზრის გაგებას!

როგორია თვით ეკონომიკური **პოლიტიკის მეთოდოლოგიური,** და ორგანიზაციული პრინციპები, **საერთოდ სტრატეგია?**

საქართველოს არ ჰქონდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კონცეფცია. შესაბამისად, სტრატეგიაც. ხელისუფლებამ არც იცოდა როგორ მოდელზე აეღო ორიენტაცია. ცალკეულ პოპულისტ-პოლიტიკოსთა პრესის ფურცლებზე, მიტინგებსა და ტელე-რადიო გადაცემებში დაპირებული „პროგრამები" ხელისუფლებაში მათი მოსვლისთანავე „უგზოუკვლოდ" გაქრა. ამიტომ რეფორმატორებმა „ინერციით", კურსი რუსეთის გამოცდილებაზე აიღეს. იქ კი ბობოქრობდა მსოფლიოს სავალუტო ფონდის მიერ რუსეთის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად თავს მოხვეული „შოკური თერაპია". საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების რეფორმატორებმა პოლიტიკური ასპარეზი მოითხოვეს. ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა უყოყმანოდ დააკმაყოფილა ისე, რომ არც კი დაფიქრებულა, შეძლებდნენ კი ისინი, თავიანთი თვისებებით, გამოცდილებით, ზნეობრივი მოთხოვნების პრინციპებით ეკონომიკური რეფორმების ჩატარებას? როცა უკვე ნათელი გახდა, რომ რეფორმატორები ავანტიურიზმზე აგებდნენ სტრატეგიას, ჩვენ სახელმწიფო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განვაცხადეთ, რომ საქართველოში რეფორმების მხოლოდ აჩრდილი დადიოდა, და მოვიყვანეთ კიდეც ამის სათანადო არგუმენტები. (ეს გამოსვლა დაიბეჭდა გაზეთ „სარანგში", 1992 წლის 5 აგვისტოს). ამ მოსაზრება-შენიშვნას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. დღეს კი აშკარად გავიძახით, რეფორმები არასწორი გზით წასულაო (?).

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 162.)

რეფორმატორებმა „შოკურ თერაპიას" სრულიად მოუმზადებლად დაუკავლეს გზა ეროვნული ეკონომიკის „განსაკურნებლად" და ამით როგორც რეფორმის შედეგები ადასტურებს, ხელოვნურად შექმნეს ახალი სიძნელეები, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ბარიერები.

„შოკური თერაპია" დასავლეთის ეკონომიკური დოქტრინაა, რომელიც მაკროეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას ისახავს მიზნად და ძირითადად ეყრდნობა საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის განხორციელებას. ამ თეორიამ დღეისათვის დასრულებული სახე მიიღო და მისი პოლიტიკური, და არა მარტო ეკონომიკური, მიზანია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სწრაფად განხორციელდეს არსებული ეკონომიკური სტრუქტურების სრული ლიკვიდაცია და მის ნამსხვრევებზე კაპიტალისტური წყობის ფორმირება. ამიტომ ეს თეორია იდეოლოგიზებულია, რევოლუციურია. მას კატეგორიულად უჭერს მხარს მსოფლიოს სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ბანკი. ამ უკანასკნელთა დაჟინებით ეს დოქტრინა რუსეთს თავს მოახვიეს, შემდეგ კი საქართველოს „რეფორმატორთა" მეშვეობით მან ჩვენთან დაიდო „ბინა". მაშასადამე, საქართველოში რეფორმების პოლიტიკა უცხოეთიდან იმპორტირებულ თეორიაზე აიგო. ეს დასაძრახისი არ არის, როცა ცივილიზაციის გამოცდილებას ეზიარები და მას ეფექტიანად გამოიყენებ, მაგრამ როცა კარგად არ იცნობ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებას და მის სხეულზე ცდილობ უცხო სხეულიდან ამოგლეჯილი ქსოვილის გადანერგვას, დაფიქრება გვმართებს!

მინისტრთა კაბინეტს, სამწუხაროდ, ქართული რაკურსით დანახული ეროვნული ეკონომიკის განვითარების არამცთუ მოდელი, მეცნიერულად გააზრებული კონცეფციაც არ გააჩნია (იგი კი ამჟამად ბრძანებს, ეროვნული და გამეცნიერებული ვარო).

მკითხველმა სწორად უნდა გაიგოს, ჩვენ „შოკური თერაპიის" — წინააღმდეგი კი არა ვართ საერთოდ (ცალკეულ ქვეყნებში მისმა გამოყენებამ ეკონომიკის გამოცოცხლებას ერთგვარად შეუწყო კიდეც ხელი). ჩვენ „შოკური თერაპიის" გამოყენების წინააღმდეგი ვიყავით (1990 წლის 5 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში" ვწერდით: „საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, თვით მეტნაკლებად განვითარებული ფორმით, ერთდროული აქტი არ არის და მხოლოდ დეკრეტებით ვერ განხორციელდება. ერთი თვისებრიობის მეორით ნახტომისებრი, რევოლუციური შეცვლის მწარე გამოცდილება გვაქვს. ამიტომ ერთადერთ მისაღებ გზად ბაზრისაკენ ინტენსიური ევოლუციური სვლა უნდა მივიჩნიოთ. მხოლოდ ასეთი გზა აგვაცილებს თავიდან მოსალოდნელ საზოგადოებრივ კატასტროფას"). და ვართ საქართველოს ეკონომიკაში, რომელსაც მთელი რიგი თავისებურებები ჰქონდა და აქვს. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მოწყობის იმპორტით შემოჭრილ თეორიებზე დაყრდნობამ ეროვნული მეურნეობა სანამდე მიიყვანა, დღის კარგად ვხედავთ. ცნობილია, რომ დემოკრატიულმა, მენშევიკურმა საქართველომ — პირწმინდად გამოიყენა მარქსისტული მოძღვრება, სოციალისტურმა, ბოლშევიკურმა — მარქსისტულ-ლენინური (ამ იდეოლოგიას სერიოზული პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ბაზა არ ჰქონია საქართველოში. იგი მხოლოდ ორგანიზაციული პრინციპების კომბინაციებით აგებულ მექანიზმს ეყრდნობოდა). ახლა კი უყოყმანოდ „ვეზიარეთ" პრაგმატიკულ მოძღვრებას — „შოკურ თერაპიას". სად არის ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მოწყობის ეროვნული მოდელი? (მისი შექმნა ძნელია. მაგრამ საერთო ძალისხმევით შეუძლებელი არ არის).

ხელისუფლებამ „შოკური თერაპიის" გავლენით რეფორმები დაიწყო ზედაპირულად, ცალმხრივად, ისე, რომ მოსახლეობა ფსიქოლოგიურადაც მზად არ იყო მოსალოდნელი სიძნელეების „დასაძლევად". იგი პოპულისტ-პოლიტიკოსთა შეპირებული „სამოთხის" მოლოდინში ნებისმიერ რადიკალურ ნაბიჯს მხარს უჭერდა. რა თქმა უნდა ხალხი ვერ მიხვდა იმას, რომ ეროვნულმა რეფორმატორებმა მათ ის გზა შესთავაზეს, რომელიც მსოფლიოს ცივილიზებულმა ქვეყნებმა დიდი ხნის წინათ გაიარეს. ეს უხეში შეცდომა იყო. რეფორმატორებმა ვერ გათვალეს ისიც, რომ ნებისმიერი პოლიტიკა (მით უმეტეს, დამანგრეველი!) უნდა ეყრდნობოდეს ძლიერ ორგანიზაციულ სტრუქტურას, მექანიზმს. მათ „შოკური თერაპიის" დამკვიდრების ორგანიზაციული ფაქტორიც სწორედ ვერ განსაზღვრეს. პოლიტიკა — ორგანიზაციის გარეშე, — თანაც ისტორიულად ყველაზე კრიტიკულ ეტაპზე, დიდი უპასუხისმგებლობაა!

საქართველოში „შოკურმა თერაპიამ" მისი ობიექტიდან — მაკროეკონომიკური პროცესებიდან — მრავალმიზეზთა გამო მიკროდონეზე გადაინაცვლა და უშუალოდ ადამიანს, მის ინტერესებს დაუპირისპირდა. რთულ ეკონომიკურ პროცესში ეს ახალი მოვლენა დაფიქსირდა და ამით პროცესიც შეჩერდა.

რეფორმამ ადამიანი მესაკუთრე ვერ გახადა. ამიტომ იგი (მომავალი — მესაკუთრე, მესაკუთრე — მეწარმე) გზაჯვარედინზე დგას. არ იცის საით წავიდეს, არც რეფორმების პოლიტიკამ იცის საით წაიყვანოს. ასეთ სიტუაციაში ხშირად გაიგონებს, ადამიანი არ შრომობს და ამიტომ შიმშილობსო. მოვალენი ვართ სინდისის წინაშე მაინც ვიყოთ მართალი. ეკონომიკურმა რეფორმებმა შექმნეს კი შრომის პირობები (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური)? ბიზნესმენები ქვეყნიდან რატომ გადაიხვეწნენ? რატომ ომის პერიოდის ეკონომიკის სტატუსით არ მუშაობს ეროვნული მეურნეობა? რატომ ეკონომიკის სამხედრო ფრონტისათვის აუცილებელი დარგები მაინც არ დაექვემდებარა სტრატეგიულ მართვას? — ეს ზოგადი კითხვებიც თვითონვე განსაზღვრავენ ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომებს.

„სოციალური დარვინიზმის" პრინციპები რომ საქართველოს არ გამოადგება, ეს რეფორმის დღევანდელმა შედეგებმა უკვე დაადასტურა. **ვწუხდებით, რომ არასწორი გზა ავირჩიეთ. ასევე ბუნებრივად უნდა ჩავთვალოთ, რომ —რეფორმების ტაქტიკაც დამარცხდა.** ამის მრავალი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ. **რეფორმების დრო არასწორად შეირჩა.** ჯერ ერთი, იგი დაიწყო პოლიტიკური კატაკლიზმების გაძლიერების პერიოდში, ქვეყნის განვითარებაში მოსალოდნელი სირთულეების გაუთვალისწინებლად. ასევე, კრიტიკულ ფაზაში აღმოჩნდა სასურსათო კრიზისიც. „შოკური თერაპია" არ შეიძლებოდა ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგია ყოფილიყო ქვეყანაში იმ დროს, როცა მას მარცვლის, ცხიმებისა და სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტების ერთი თვის მარაგიც არ გააჩნდა. არ მოქმედებდა მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის არც ერთი ფაქტორი (სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, მრეწველობისათვის ნედლეული, დამხმარე მასალა და სხვ). ამიტომ რეფორმებში გამორჩათ სოციალური ფაქტორის განსაკუთრებულობა. რეფორმა ქვეყანაში ორი გზით განვითარდა: ფასების ლიბერალიზაციითა და გადასახადების როლის, ფუნქციების გაძლიერების გზით. ერთი ეკონომიკური პროცესის ეს ორი ნაკადი იზოლირებულად წარიმართა (უფრო სტიქიურად). არ დაუკავშირდა დემონოპოლიზაციას, პრივატიზაციას და ამდენად, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ხელშემწყობი პოტენციური ფაქტორის როლის შესრულების ნაცვლად, უძრაობის „მყარი საფუძველი" შექმნა.

ფასების აშვებისას საჭირო იყო ფულადი რესურსების მეტი ოდენობა. ეს კი სხვა ქვეყანაზე იყო დამოკიდებული. ამ ნიუანსმაც მეტად უარყოფითი როლი შეასრულა.

შეცდომა იყო თვით საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკაში მთავარ ამოცანად ინფლაციის შეჩერების განსაზღვრა, საჭირო იყო ორიენტაცია ეკონომიკურ სტაბილიზაციაზე მთლიანად. მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ დაუკავშირდა სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკას. სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი დარგებისა და კომპლექსების ფუნქციონირების მიმართ. დაიწყო კვლავწარმოების ფინანსური და ნივთობრივი პროპორციების დისბალანსის პროცესი. გადაუხდელობა გაიზარდა. ამიტომ, შემუშავებულ ღონისძიებებს წარმოების გამოცოცხლება არ მოჰყოლია. შიდაბაზრის სტრუქტურები არ ჩამოყალიბდა. საგარეო ბაზართან დაკავშირებული სტრუქტურები საჭირო სახელმწიფო რეგულირების გარეშე დარჩა.

ნოდარ ჭითანავა.

ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

(დასასრული იქნება).

კატასტროფათა და კრიტიკული მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ცენტრი

1993 წლის 1 ივლისიდან 1993-94 სასწავლო წლისათვის აცხადებს საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა მიღებას სასწავლებლად სასწრაფო — გადაუდებელი მედიცინის პროფილის შემდეგი პროგრამებით მოსამზადებლად:

— I კურსი — „მაშველი სან-ინსტრუქტორი“ (ვაჟებისათვის), „მოწყალების და“ (გოგონებისათვის)
— II კურსი — „პარამედიკოსი“
— III კურსი — „ექთანი“
— IV კურსი — „ექიმის თანაშემწე“
— V კურსი — „ექიმი“
— რეზიდენტურა — „ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი“, „ალერგოლოგ-იმუნოლოგი“, „ნევროპათოლოგი“, „მეან-გინეკოლოგი“, „აბდომინალური ქირურგი“, „ჩირქოვანი ქირურგი“, „პროქტოლოგი“, „ფილტვის ქირურგი“ და სამკურნალო საქმის სხვა სპეციალისტი.

პირველი ხუთი პროგრამის ხანგრძლივობა თითო წელია, რეზიდენტურისა კი სამი წელი.

თითოეული პროგრამის კურსდამთავრებული ღებულობს სერთიფიკატს და წარდგინებას შესაბამის სპეციალობაში სამუშაოდ. დაბალი კურსის პროგრამის კურსდამთავრებული ღებულობს აგრეთვე უფლებას სწავლა გააგრძელოს მომდევნო, უფრო მაღალი კურსის პროგრამით.

პირველი კურსის პროგრამით მიიღებიან საშუალო სკოლის, კოლეჯის და მასთან გათანაბრებული სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, დანარჩენ კურსებზე კი ამავე ცენტრისა და სხვა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების შესაბამისი კურსის სტუდენტები. რეზიდენტურაში მიიღებიან „სამკურნალო საქმის“ დიპლომიანი ექიმები, რომელთაც არა აქვთ სპეციალობა მოცემულ დარგში.

სწავლება ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს კონკურსის წესით ეტაპობრივად. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 (სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი).

ვაჟა-ფშაველას გამზ. № 27ბ (რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო), ტელეფონი: 23-07-66, 39-80-46
ფაქსი: (8832) 999841

ცენტრის მიმღები კომისია

პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.

ინსტიტუტი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტ-ეკონომისტებს. სწავლითა და ყოფაქცევით გამორჩეული სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის საფასურისაგან.

ინსტიტუტის სასწავლო პროგრამას გაეცნობილმა ამერიკელმა და იაპონელმა სპეციალისტებმა ინსტიტუტის დამაარსებელი მიიწვიეს იაპონიაში გამართულ კონფერენციაზე გამოდილების გასაზიარებლად.

პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლის და ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ დაფუძნებულია ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

მსურველთათვის საბუთების მიღება წარმოებს 16 აგვისტომდე. ჩარიცხვა იწარმოებს ტესტირებული გასაუბრებით.

მისამართი: თბილისი აზათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩა № 28 66-ე საშუალო სკოლის შენობა.

ფირმა «დაფიონი»

შეისყიდის თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას უნაღდო ანგარიშსწორებით საბირჟო კურსით.

მისამართი: დიდი ხეივნის № 8, მე-4 სართული,
ტელ 72-07-57.

განცხადება

ორგანიზაცია ყიდის შაქარს. პარტია 4000 ტონა. მოწოდება მოხდება ფოთის ბათუმის ნავსადგურებში.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელეფონებით:
32-53-71, 32-53-86, 32-99-53, კოდი 8442.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე არსებული

უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.

სამკურნალო ფაკულტეტზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეც. განათლების მქონე აბიტურიენტები. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ბიოლოგია – ზეპირი
2. ქიმია – ზეპირი

სწავლა იწარმოებს ქ.ბალტიმორის (აშშ) ჯონ ჰოპკინსის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქ.რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შერეული პროგრამით. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება იწარმოებს გაძლიერებული პროგრამით. ენებს შეასწავლიან ლონდონის „ინტერნეიშენ ჰაუზის“ თბილისის ფილიალის სპეციალისტები.

საბუთების შემოტანასთან ერთად საკონკურსო მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 5000 კუპონს.

საბუთები მიიღება 10 ივლისიდან 16 აგვისტომდე.

გამოცდები ჩატარდება 16 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

საბუთებისა და დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, კვირის გარდა 11 საათიდან 15 საათამდე.
ტელ. 51-77-62.
ქ.თბილისი დიღმის მასივი, ლუბლიანას ქ.№ 4.
ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ს.კ ინსტიტუტი.

ბანკი ინოვაცია

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს „საინოვაციო ფონდთან“ და ასოციაცია „ერქვანთან“ ერთად ფიზიკური პირებისათვის, კომერციული სტრუქტურებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ხსნის ანგარიშებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ფულზე-კუპონებში, რუსულ მანეთებში და სხვადასხვა ვალუტაში.

1. ყველა სახის შენატანი დაბრუნებული იქნება მხოლოდ ამერიკული დოლარით (მეანაბრის სურვილის მიხედვით მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნებით) არანაკლებ 150 პროცენტის წლიური დანამატით, რაც ყოველთვიურად შეადგენს 12,5 პროცენტს. სურვილის მიხედვით, შენატანები დარიცხული პროცენტებით გადარიცხული იქნება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე.
2. რუსული მანეთი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ნაღდი ფულის ნიშნის შემოტანის შემთხვევაში ან გადარიცხვით ქ.მოსკოვში.
3. შეტანილი თანხების დაბრუნება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში შეტანიდან არანაკლებ სამი თვის ვადის გასვლისას.
4. მეანაბრეთა ანონიმურობა გარანტირებულია.
5. საქართველოს რესპუბლიკაში თანხების გადარიცხვა შეგიძლიათ ა-ა № 220101900 საკორესპონდენტო ანგარიში № 900161300, საქართველოს ეროვნული ბანკი მფო 526205.
6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს „საინოვაციო ფონდი“, ბანკი „ინოვაცია“ და ასოციაცია „ერქვანი“ თქვენი შენატანების დაცვისა და დროული დაბრუნების საუკეთესო გარანტია.

თანხების შეტანა მოხდება შემდეგ მისამართზე:

1. ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი № 43, კულტურის სახახლე, მე-3 სართული, ოთახი 77.

2. ქ.თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13 პირველი სართული ოთახი 3

3. ქ.თბილისი, ძმები კაკაბაძეების (ყოფილი ლენინის) ქ.№ 2 (მეტრო რუსთაველთან, კინოს სახლში, მე-3 სართული, ოთახი 2.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 39-87-89, 93-56-46, 39-20-14, 99-74-33, 98-83-27 სამუშაო საათებში.

სარეკლამო სააგენტო „ვიზა“.

დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოების

განცხადება

საზოგადოების ინიციატივით და ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერით თბილისის კონიაკის ქარხანას მიეკუთვნა დ. სარაჯიშვილის სახელი, მეტრო-სადგურ „დავით გურამიშვილს“ ეწოდა „დავით სარაჯიშვილი“, (მეტროსადგურ „თემქას“ გადაერქვა სახელი და დაერქვა „დავით გურამიშვილი“), ხოლო გლდანის რაიონის ცენტრში არსებულ გზის მონაკვეთს მეტროსადგურ „დავით სარაჯიშვილიდან“ ქარხანა „ცენტროლიცამდე“ დაერქვა დავით სარაჯიშვილის გამზირი.

დავით სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გადაწყვეტილი გვაქვს მეტროსადგურ „დავით სარაჯიშვილთან“ ძეგლი დავუდგათ სულმნათ მამულიშვილს.

ამასთან დ. სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოება თხოვნით მიმართავს როგორც რესპუბლიკაში, ასე რესპუბლიკის გარეთ მოღვაწე კომერციულ ფირმებს, მეწარმეებს, წარმოებათა ხელმძღვანელებს, ქალაქებისა და რაიონების გამგეობებს, ცალკეულ პირებს, — მონაწილეობა მიიღონ დ. სარაჯიშვილის ძეგლის მშენებლობაში და თავისი შემოწირულობანი ჩარიცხონ დავით სარაჯიშვილის საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშზე.

ქ.თბილისი, გლდანის რაიონის
აგრომრეწვბანკი
ანგ.№ 000700569
მფო 521761.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მსოფლიო ყურადღების ცენტრში

დასავლეთის ყველა მთავარი საინფორმაციო სააგენტო გადმოსცემს ცნობას, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტისაგან მიიღო აფხაზეთში კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და საკონტროლო მექანიზმის შექმნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის რწმუნება, მასვე დაევალა, ერთი თვის ვადაში განახორციელოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს რეორგანიზაცია, ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ცხარე კამათი. მთავრობას ადანაშაულებდნენ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო. მოითხოვდნენ მთავრობის გადადგომას. პარლამენტის დახურულ სხდომაზე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, კამათი 9 საათი მიმდინარეობდა. მაგრამ საქმე კენჭისყრამდე არ მისულა. მიიღეს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მეთაურმა იმოქმედოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში. იმასაც აღნიშნავენ, რომ ედუარდ შევარდნაძეს შეეძლო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საკითხი პარლამენტის გარეშე გადაეწყვიტა. მაგრამ მან ამჯობინა საქართველოსათვის ამ ღირსმნიშვნელოვანი საკითხის პარლამენტში განხილვა პარლამენტის აზრის გასაგებად. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თავის თავზე აიღო ერის წინაშე ისტორიული პასუხისმგებლობა და მიზანშეწონილად მიიჩნია ამ დოკუმენტის ხელმოწერა. რუსეთის „ვესტის“ წამყვანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „ვერავინ უარყოფს ამ პოლიტიკური მოღვაწის პირად ვაჟკაცობას“. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ თბილისში გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციის მიღებისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მზად არის, ხელი მოაწეროს საქართველოსათვის მიუღებელ ხელშეკრულებას, აფხაზეთში კონფლიქტის ზონიდან საქართველოს ჯარების გამოყვანის შესახებ, ვინაიდან, მიიჩნევს, რომ ომი, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გამოიწვია, ამდენი უბედურება და ტანჯვა მოუტანა ადამიანებს, უნდა დამთავრდეს.

ვიქტორ ჩერნომირდინის გამოსვლა

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრემიერმა ვიქტორ ჩერნომირდინმა რუსეთის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილება, 1993 წლის კუპიურებით შეცვალონ 1961-1992 წლის გამოშვებული ფული, იმით ახსნა, რომ ფულის მასა, რომელიც რუსეთის ბაზარზე შემოდიოდა, აღემატება ქვეყანაში ფულის ემისიას. მან თქვა, რომ დაგროვილია ფულის ნიშნების საკმაო რაოდენობა, რათა გაცვლის პროცედურა ორ კვირაში (დაწყებული 26 ივლისიდან) დამთავრდეს. „ჩვენი ხალხი — თქვა მან, ამ ოპერაციიდან არაფერს არ წააგებს, შეეხო რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-ქვეყნების რეაქციას, მან აღნიშნა, რომ ვისაც ჩვენთან უნდა ყოფნა, იგი ჩვენთან დარჩება“.

საინსპექციო მოგზაურობა

სომალიში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაეროს ჯარებში შემავალი სამხედრო კონტინგენტის ინსპექციის მიზნით გერმანიის ფედერალური კანცლერის ჰელმუტ კოლის მითითებით, გაემგზავრა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რიუე. მოგადიშოდან 300 კილომეტრის დაშორებით, განლაგდა 600 გერმანელი სამხედრო მოსამსახურე. ისინი საომარ მოქმედებაში არ ჩაერევიან. მათი მოვალეობაა ჰუმანიტარული დახმარების მიღება-განაწილების ტექნიკური უზრუნველყოფა.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა ბუნდესვერის ნაწილები ევროპის ფარგლებს გარეთ ოპერაციებში მონაწილეობენ.

ვიზიტად ვაშინგტონში

უკრაინის თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინ მოროზოვი, რომელიც ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკვე შეხვდა ამერიკის მაღალი თანამდებობის პირებს. — იგი მიიღო თავდაცვის მინისტრმა ესპინმა და ამერიკის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ კოლინ პაუელმა. განიხილეს უკრაინის ტერიტორიაზე ბირთვული შეიარაღების დემონტაჟის საკითხი. „ნან-ლუგარის კანონის“ შესაბამისად, ვაშინგტონი ბირთვული იარაღის დემონტაჟისათვის რუსეთს, უკრაინას, ყაზახეთსა და ბელარუსიას 400 მილიონ დოლარზე მეტს გამოუყოფს. გუშინ უკრაინის თავდაცვის მინისტრი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალურ მრჩეველს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საკითხებში სტროუბ ტელბოტს. თეთრ სახლში მას საუბარი ჰქონდა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწესთან, ენტონი ლეიკთან.

საჰაერო დარტყმები ლიბანის სამხრეთით

უკვე მესამე დღეა, ისრაელის ავიაცია ახორციელებს საჰაერო დარტყმებს ლიბანზე, სადაც განლაგებულია ექსტრემისტული „ჰეზბოლასა“ და „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის“ ბაზები. როგორც საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, მოკლულია 100-ზე მეტი კაცი, ხოლო დაჭრილთა რიცხვმა ორ ასეულს გადააჭარბა. თავის მხრივ ცეცხლი დაუშინეს ჩრდილოეთ ისრაელის დასახლებებს, საიდანაც მოსახლეობა გახიზნეს. გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ დაგმო ძალადობის ესკალაცია ისრაელისა და ლიბანის ურთიერთობაში და მოუწოდა მხარეებს გამოიჩინონ მაქსიმალური თავშეკავება.

აპირებს მიმართოს გაეროს უშიშროების საბჭოს

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრი ტანსუ ჩილერი აპირებს შეიტანოს გაეროში წინადადება აზერბაიჯანში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ. რომ ამასთან დაკავშირებით, ჩილერი სატელეფონო საუბარს გამართავს მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებთან. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არავინ არასდროს დათანხმდება სომხების მიერ აზერბაიჯანის მიწების დაპყრობას.

ვერ წაართმევთ „ოქროს საწმისს“ საქართველოს!

ღია წერილი ტელეკომპანია „ოსტანკინოს“ და ყველა დეზინფორმატორს

„ვაი მძლავრთა უკეთურებისათა, რომელნიც უკეთურებასა წერენ და სასტიკ ბოროტებას იზრახვენ!“ ესაია 10,1

შეუძლებელია დუმილი!

თითქოს დემოკრატიული კომპანია ხართ, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი დემოკრატიისაგან! მიუხედავად ბ-ნ ელცინის და სხვა დემოკრატიული ძალების კეთილი ნებისა, რისი შედეგიც 3 სექტემბრის ხელშეკრულება, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, მათ შორის პირველ რიგში „ოსტანკინო“, „ვესტი“, „იტოგი“ გადაქცეული არიან დეზინფორმაციების ბასტიონად და სიცრუის ტალღებით ეომებიან საქართველოს, რომელიც 200 წელიწადი ერთგული და ერთმორწმუნე მოკავშირე იყო რუსეთისა, ყველა ფრონტზე სისხლს ღვრიდა მისთვის მაშინ, როცა მრავალნი, ვისაც დღეს მფარველობთ, „ზურგში ტყვიას უშენდნენ რუსებს“ (ვასილ ველიჩკო, „კავკასია“).

თქვენი გადაცემების უმრავლესობა — ესაა სიცრუის თავისუფლება. რას ქადაგებთ, რისთვის ამახინჯებთ ფაქტებს და ატყუებთ მილიონებს, არ გვესმის, მაგალითად, რატომ ამტყუნებთ ქართველებს, რომელთაც თავიანთი საჯარისო ნაწილები შეიყვანეს, ე. ი. გადააადგილეს საკუთარ ტერიტორიაზე, რათა გზა გადაეკეტათ ბანდიტებისა და ანტიქართული გამოხდომებისათვის? აფხაზეთი — ეს ხომ საქართველოა და იყო დასაბამიდან! წაიკითხეთ თუნდაც ისტორიის მამის სტრაბონის წიგნები, სადაც წერია, რომ დიოსკურიის (ცხუმის, სოხუმის) გარშემო, „მთიდან ზღვამდე“ ცხოვრობდნენ ქართველთა ტომები“, მათ შორის სვანები, რომელთაც ჰყავდათ სამასკაციანი საბჭო და ორასათასიანი არმიის გამოყვანა შეეძლოთ! ხოლო ალექსანდრიელი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი ქრისტეს წინ მესამე საუკუნეში წერდა: „ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს“.

ეს ისტორიაა? მერე, განა ასე არ იყო მთელი ისტორიის, ორი ათასწლეულის მანძილზე? განა დღესაც იქ 250000 ქართველი არ ცხოვრობს? და ბევრი მათგანი რეჟიმის წლებში პასპორტებს იცვლიდა, აფხაზობას იღებდა, რადგან აფხაზთა ტომი მთელს იმპერიაში ყველაზე უფრო პრივილეგირებული იყო.

ოსებთან ერთად, უდიდესი უმცირესობა ბატონობდა უდიდეს უმრავლესობაზე, 80000 სული — 250000 სულზე, და ავტონომიურ რესპუბლიკაში უკეთ მოწყობის აუცილებელი პირობა იყო აფხაზობა! აფხაზებს ჰქონდათ საუკეთესო სახლები, მიწები, ჰქონდათ სკოლები, ტელეცენტრი, თეატრი, გამომცემლობა, რედაქციები, ინსტიტუტები... ქართველთა უფლებები კი სულ უფრო იზღუდებოდა.

ომის წინ სოხუმში, ძირძველ ქართულ ქალაქში, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიჭრა აფხაზ გვარდიელთა უკანონო ქვეგანაყოფი, ფიზიკურად გაუსწორდნენ მინისტრს გივი ლომინაძეს, რომელიც დიდხანს იწვა რეანიმაციაში; თოფის კონდახებით გააძევეს ინსტიტუტის აკადემიკოსი, ფიზიკოსი სალუქვაძე, დაიწყო ქართველთა მასობრივი მოხსნა, ცემა, გაძევება საკუთარი მიწიდან! რომელი ცივილიზებული ქვეყანა მოითმენდა ასეთ ბარბაროსობას?!

არძინბამ და მისმა დამქაშებმა აღადგინეს არარსებული კონსტიტუცია 1925 წლისა, გამოაცხადეს თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად, დაიწყო გვარდიელთა თარეში, აპარტეიდი, ქართველთა გენოციდი! ბოლოს მოიწვიეს ჩრდილოეთ კავკასიელი ბოევიკები, შეიარაღებული ბანდები ხოცავდნენ ქართველებს, ყველა ქრისტიანს დევნიდნენ, ძარცვავდნენ, წვავდნენ სახლებს, სკოლებს, აწამებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, აუპატიურებდნენ; ცოცხლად მარხავდნენ ქართველებს... სად ხდება ასეთი ვანდალიზმი? თქვენ კი მათ ამართლებთ!

არძინბამ დაიწყო სროლა, აპარტეიდი, ძალადობა. მათ არ სურთ მოლაპარაკება, დიალოგი, არ ცნობენ თვით შევარდნაძეს, რომელსაც ცნობს მთელი მსოფლიო! მათ მოკლეს ქალი, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა, გოგონა, რომელიც სკოლიდან მიდიოდა, სახურავებზე მოკალათებული სნაიპერები ხოცავენ მშვიდობიან ხალხს.

აი, როგორ უჭირავთ თავი თქვენს ექსტრემისტებს, რომელთაც თქვენი პოლიტოლოგები ამართლებენ, დაპყრობად თვლიან ჯარის გადაადგილებას საკუთარ მიწაზე. არძინბა, პატარა სადამ ჰუსეინი, თავს გავიდა, როგორც კაცთმოძულე ტირანი! მისი ბანდებისაგან მიყენებული ზარალი ათ მილიარდს აჭარბებს.

დრომ დაამტკიცა, რომ აბსურდული იყო უნიჭო პოლიტოლოგების ვარაუდი, ჯარი იმისათვის შეიყვანეს, შევარდნაძის რეიტინგს აეწიაო. შევარდნაძემ ისედაც მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა — 96 პროცენტი, რაც არავის ღირსებია.

თქვენ ვერ გაიგეთ ქართველი კაცის მშვიდობიანი, კაცთმოყვარე ბუნება. აფსუა სეპარატისტები ყველა დათმობაზე, დიალოგზე უარს ამბობენ. როდემდე ვითმინოთ? რეზერვაციაში ვართ?!

თქვენს კომენტატორებს სახე სიხარულით ებადრებათ, როცა აცხადებენ, რომ არძინბას და შანიბოვის ბანდებმა დაწვეს ქართველთა სამხედრო ტექნიკა, ტყვედ იგდეს 150 ქართველი. ეს ქართველები კარგი იყვნენ, როცა მაგდებურგში თუ თურქეთის ფრონტზე, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში თავს სწირავდნენ რუსეთის დიდებას, როცა ბოროდინოს ველზე ეცემოდნენ, და რუსეთის დიდებასვე შეეწირა ბაგრატიონი, რომლის ძვლებიც ამოთხარეთ სამარიდან; როცა სამამულო ომის ფრონტებზე დაეცა 400 ათასი ქართველი — პროცენტულად ყველაზე მეტი! განა შეიძლება ასეთი რამეების დავიწყება?

იციან თუ არა თქვენმა პოლიტოლოგებმა, რომ ჩრდილოეთი კავკასია, საიდანაც აგრესორთა ბანდები შემოდიან და გვხოცავენ, რუსეთის ნაწილია, რუსეთთან კი მეგობრობის საუკუნო ხელშეკრულება გვაკავშირებდა? რომ მეფის რუსეთი 30 წელი ეომებოდა ჩრდილოეთ კავკასიას და შამილს ყველაზე საშიშ მოპირდაპირედ ქართველი გენერალი მიაჩნდა? ისტორიის ცოდნა არავის აწყენს. ქვები ღაღადებენ, არძინბას და მის მფარველ რეაქციონერთა განცხადებაზე: „აფხაზეთი და საქართველო ორი სხვადასხვა სახელმწიფოა, ორი სხვადასხვა ერი“. მერე, იქ რომ 250000 ქართველი, მრავალი რუსი, სომეხი და ბერძენიც ცხოვრობს, ეს რომელ ერს მივაკუთვნოთ?! ვინ [illegible] მფარველობს მოძალადეს?

არავინ აპირებს აფხაზთა დაჩაგვრას. ჩვენ შევუნარჩუნეთ მათ ენა, ჩვენ შევუქმენით ანბანი, მზად ვართ კეთილმეზობლობისათვის, მაგრამ მიწა ქართულია და ვიდრე ერთი ქართველიც ცოცხლობს, ჩვენს მიწას ყაჩაღებს არ დავუთმობთ. ჩვენ ისედაც ცოტა გვაქვს მიწა და ასი ათასობით ჰექტარი ადრევე მიიტაცეს.

„მთიელთა“ კონფედერაციამ თავის დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა. არავითარი გამართლება არა აქვს ამ აგრესიას. სატანას ვერ დავასახლებთ ჩვენს ქრისტიანულ ტაძრებში, რომელნიც აქაც ათასი წლის წინ უშენებიათ ქართველებს!

ასეული წლობით ვეძებდით მეგობრობას ერთმორწმუნე რუსეთთან, დღეს კი ქრისტიანული რუსეთი არსებითად ეომება ქრისტიანულ საქართველოს. როგორ ახსნიან თქვენი კომენტატორები უბრალო ფაქტს, რომ ურთულესი სამხედრო ტექნიკით ორგანიზებულად გვეომებიან აფხაზები (აფსუას ტომი), რომელსაც საქმე არ ჰქონია სამხედრო საქმესთან? როგორ არის ეს მიწა აფსუებისა, როცა ზღვასთან დაკავშირებული არც ერთი სიტყვა არ გააჩნიათ? დეზინფორმაციებით წამლავთ მილიონებს. ხალხს სიმართლე უნდა.

თქვენს პოლიტოლოგებს რომ უსმენდა ჩემი მეზობელი რუსი ქალი, ლამის ცუდად გახდა: როგორ არ რცხვენიათ ამდენი სიცრუე! საიდან იგონებენო რუსების შევიწროებას? ხოლო როცა გამოაცხადეთ, რომ სოხუმი დანგრეულია, სოხუმიდან ჩამოსულმა კაცმა მწარედ გაიცინა: ათას ერთი ღამის ზღაპრებიაო! მერე ის მართლა დაანგრიეს!

ოსტანკინოელო ქრისტიანებო, მეზღაპრეები ხომ არა ხართ? თუ თქვენს ქრისტიანულ-მართლმადიდებელ ეკლესიაშიც სატანა სიცრუისა შეიჭრა?

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე სულსაო, წერდა რუსთაველი. ვის არგია თქვენი სიცრუე? წლობით, ათეული წლობით მზადდებოდა აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობა. მანიაკ არძინბას ბრძანებით დაიწყეს სროლა, თქვენ კი ლამის ლისაბონის მიწისძვრაც ჩვენ დაგვაბრალოთ.

მინდა ვკითხო თქვენს ბრძენ პოლიტოლოგებს. რას იტყვის ევროპა, მსოფლიო, როცა თქვენი ინფორმაციული ქაოსის მიუხედავად დარწმუნდება, რომ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრა აგრესორთა არაერთი ბანდა და ქრისტიანული რუსეთის შეწევნით აწიოკებენ ქალაქ-სოფლებს, ტაძრების მშენებელ ხალხს, რომელსაც მრავალათასწლოვანი ისტორია აქვს; ფაშისტურს უწოდებენ ერს, რომელიც ძველი ცივილიზაციის აკვანში მიღებულ საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს? რომელი საუკუნეა?

ჩვენი თხოვნაა: ნუ ასხამთ ცეცხლზე ნავთს. გაღვივების ნაცვლად დაშრიტეთ შუღლის კოცონი, დაგვეხმარეთ ავანტიურისტ არძინბას გაძევებაში და ყველაფერი ნორმალურად იქნება. თუ კურორტები და ზღვაზე გასასვლელი გინდათ, ვინ დაგიშლით იმ კურორტებზე დასვენებას? ძალით დაპყრობილი რად გინდათ?

თქვენი გენერლების, ჟირინოვსკის, ბაბურინის და სხვა რეაქციონერთა მუქარა, „ისეთ ბომბს ჩამოგიგდებთ, რომ კავკასიაში ვეღარავინ იცხოვრებს“, „უბრალოდ მოკვდებიანო“, მომაგონებს ტიფონის მძვინვარებას დედამიწაზე! ჩვენ მაინც დავიცავთ ჩვენს მიწას და გენერლების ქადილის არ გვეშინია, რადგან სიმართლე ჩვენთანაა და ეს აღარაა ნაბუქოდონოსორის დრო! მსოფლიომ სახე იცვალა.

აფხაზთა და ოსთა გენოციდი? გენოციდი იქაც და იქაც ნამდვილად მიდის, ოღონდ არა ოსთა და აფხაზთა, არამედ ქართველთა! 40000 ლტოლვილი საკუთარი მიწიდან — როგორ მოგწონთ ეს? მე მახსოვს, როცა ცხინვალში (რომელიც ქართული „ცხინვალი“ გახლავთ და არა „ცხინვალ“, როგორც თქვენ ამახინჯებთ!) სულ სამი ოსი ცხოვრობდა, დღეს იქ ერთი ქართველი ვეღარ შედის სიკვდილის შიშით.

არ ვიცი, რამდენად გიზარიათ ეს, მაგრამ წარმოებს ბინძური ომი ქართველთა წინააღმდეგ და ესაა დაუმსახურებელი, სატანური უსამართლობა! ბინძური მითია „რუსების ჩაგვრის“ ვერსია და სახაროვისეული „პატარა იმპერიის“ ზღაპარი!

თბილისი უბედურების ზონადაა გამოცხადებული. მერე, აქ ხომ ქართველების გარდა ასეულობით რუსი ცხოვრობს! სადაა ლოგიკა, სადაა სინდისი? სადაა ღმერთი?

თქვენი კომენტატორების მოქმედება მომაგონებს ციცერონის სიტყვებს, კატილინას რომ უთხრა: „კატილინა! შენ ცოცხლობ არა იმისათვის, რომ შენი ცოდვები აღიარო, არამედ იმისათვის, რომ ისინი დაამტკიცო!“

ვერ დაამტკიცებთ! საქართველო სუფთაა და ღმერთი მასთანაა!

თქვენ ცალცალკე „ნაციებად“ აცხადებთ ქართველებს, მეგრელებს, სვანებს, აჭარელებს. ესეც აბსურდია. ეს ყველა ერთი ენით, სულით, სარწმუნოებით შეკრული ძმებია, ეს საქართველოა! მშვიდობიანი, სტუმართმოყვარე, ჰეგელისა და ჩერნიშევსკისგან შექებული საქართველო, ხალხთა მეგობრობის ბურჯთაგანი. თქვენი სიცრუის ქარიშხალი ვერ დაანგრევს მისი სიმართლის ტაძარს. ოდესმე, როცა ჩვენი მეგობრობა აღდგება, როცა ერთმანეთს დაველაპარაკებით როგორც მეგობარი მეგობარს და არა როგორც ბატონი ყმას, მაშინ შევრცხვებით!

„მშვიდობიანი გზით მოგვარდებოდაო!“ — გვესმის ეკრანიდან. მშვიდობის ფასი ქართველზე კარგად არავინ იცის, მაგრამ არძინბას ხროვასთან მშვიდობაზე ლაპარაკი იგივეა, რომ ასპიტებს სათნოება უქადაგო. ჩვენ არ გვაწუხებს? იქ ჩვენი ბიჭები იღუპებიან და არავინ სხვა. მარტო გაგრაში შემოჭრილმა ბანდებმა დახვრიტეს ათასზე მეტი ქართველი. ეს ხომ ჟლეტაა და არა ომი!

მე გწერთ ისევ მშვიდობის რწმენით, სიცრუის უარმყოფელი, რომელიც იმედით შესცქერის ხელმოწერას დიდი თანასწორობის ხელშეკრულებაზე დიდ რუსეთთან. გწერთ აღშფოთებული ზოგიერთი გენერლის ანტიქართული კურსით და თქვენი სიცრუით, რუსთა მზვერავი თვითმფრინავების გუგუნით სოხუმის თავზე, მძიმე ტანკებისა და ნაღმსატყორცნების მიწოდებით მკვლელებისათვის! დაუფიქრდით, ამ იარაღით უნდა მოსპონ თქვენი ძველი მოკავშირეები, დახოცონ ქალები და ბავშვები!

მე გწერთ, ვითარცა მხილველი ამ ბოროტებათა! ფრონტიდან მოდის ვანდალიზმის მსხვერპლთა ამბავი, ცნობები ახალ-ახალ დანაშაულობაზე. ქართველთა სისხლს სვამენ, გვამებს კაფავენ, თავებს აჭრიან და აბურთავებენ... ეს ეკადრება რუსთაველის ერს? აფხაზეთში ვანდალიზმი მძვინვარებს, თქვენ კი ანტიქართული გადაცემებით აღვივებთ, კი არ აქრობთ ხანძარს...

ღმერთი შეგეწიოთ! ჩვენ საკუთარი რწმენით და ძალით ვცხოვრობთ ამ მიწაზე 5000 წელი და მეტი, ამდენსაც ვიცხოვრებთ უფლის წყალობით. ამაში ეჭვი არ შეეპაროთ მანიაკ არძინბას და მის მფარველებს!

სათხოვარი კი ერთი გვაქვს: შეწყვიტეთ ანტიქართული დეზინფორმაციები, გაფანტეთ უნდობლობის ნისლი, რაც რუსეთის იმპერიის თავზე მუდამ იწვა იმავე რეაქციული ძალების წყალობით!

ჩვენ გვინდა ვიხილოთ ძლიერი, მდიდარი, გულმართალი რუსეთი, კეთილი მეგობარი, მეზობელი და არა აგრესორი, პირქუში და ცილისმწამებელი, როგორნიც „ოსტანკინოს“ და „ვესტის“ რედაქციებში სხედან.

აკაკი გელოვანი,
მწერალი.

მინაწერი:

„ოსტანკინო“ არ ღალატობს თავის მავნე კურსს. 14 მაისის დამაიმედებელ შეხვედრის დღესაც კი ტრიბუნა განზრახ დაუთმო არძინბას, თითქოს დიდი პოლიტიკური ფიგურა იყოს ეს გაკოტრებული მკვლელი, მზაკვრული ნაღმივით რომ ჩაწყობილა ქართული ტაძრის საძირკველში. „ოსტანკინოს“ ვერაგული ტერმინოლოგიით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო „ეგრეთ წოდებულია“, გუდაუთაში მოკალათებული ექსტრემისტების ბანდა კი — „წოდებული“, ე. ი. კანონიერი.

ასეა ყოველდღე. ამიტომაც ბუნებრივია, მკითხველს რომ ვთავაზობთ ადრინდელ წერილს, რაც თავის დროზე „ოსტანკინოს“ გაეგზავნა. მისი მიზანი იყო და არის პროგრესული ძალების მხარდაჭერა და რეაქციონერთა მხილება.

„რაკი სოხუმი ვერ ავიღეთ, ის არც ჩვენ და არც ქართველებსო!“ — ასეთ ვანდალიზმს უჭერენ მხარს „ოსტანკინოს“ კომენტატორები.

ბ. ბ.

ინფორმაცია-93

იბერიის ცენტრი

სააგენტო „იბერიის" კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ. ყორღანაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, თითოეულ მოსახლეს 100.000 მანეთის ფარგლებში გადაუცვალოს ფულის ნიშნები ქართულ კუპონზე შეფარდებით 1:1, გამორიცხავს კუპონის გაუფასურებას. გადაცვლა უნდა განხორციელდეს საბანკო ფასებში, რათა მოსახლეობამ არ განიცადოს დიდი ზარალი.

ბათუმში ჩავიდნენ აშშ-ის წამყვანი სამშენებლო ფირმების ექსპერტები. სტუმრები მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ, საუბარი შეეხო აჭარაში სამშენებლო საწარმოების აგებას და საშინაო კვალიფიციური კადრების მომზადებას.

გუშინ ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობის წინ „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების ინიციატივით ჩატარდა არასანქცირებული მიტინგი საქართველოს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც დაახლოებით 11.00 საათისთვის აღკვეთილ იქნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ხისტი და უნაყოფო ბრძოლისათვის აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თანამდებობიდან გაათავისუფლა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილეები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ელი ზაკურიძე.

გურჯაანის ადგილობრივი მმართველობის შენობასთან აქცია მოაწყო [illegible] სამშენებლო საწარმოო გაერთიანება „იმერეთის" კოლექტივმა. აქციის მონაწილეთა უმთავრესი მოთხოვნა იყო რაიონში წესრიგის დამყარება. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ქარხანას ორჯერ დაესხნენ თავს შეიარაღებული პირები და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს ქარხნის დაცვას.

მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ ქარხნის კოლექტივს ტერორის ქვეშ უხდებოდა მუშაობა. საწარმოს ხელმძღვანელობამ დახმარებისათვის მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და ადგილობრივ მმართველობას, მაგრამ მათი მხრიდან არავითარი ღონისძიება არ გატარებულა. თავდასხმის შედეგად გატაცებულ იქნა „კამაზის" მარკის ავტომანქანა, რომელიც ქარხნისთვის ერთადერთი მექანიზებული საშუალება იყო. რაიონის გამგებელმა ამირან კაკაურიძემ აქციის მონაწილეებს აღუთქვა გატაცებული ქონების დაბრუნება.

თბილისში მუდმივად ჩაწერილ მოქალაქეთა რიცხვმა 1.260.000 მიაღწია. ქალაქში ჩაუწერლად და აღურიცხავად ცხოვრობს ათასობით ადამიანი, მათ შორის 22 ათასი ლტოლვილია.

მოსახლეობის მექანიკური ზრდის შეზღუდვა თვითმიზანი არ არის, იგი გამომდინარეობს შექმნილი აუცილებლობიდან — საცხოვრებლით, ტრანსპორტით, ენერგორესურსებით, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

ამასთან დაკავშირებით ქალაქის მერმა ქ. გაბაშვილმა განაცხადა, რომ პოლიციის სამმართველომ, საბინაო მეურნეობასთან და რაიონის გამგეობებთან ერთად, უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც ჩაუწერლად ცხოვრობენ თბილისში.

კონფერენცია ქუთაისში

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 1990-1991 წლების საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები. კონფერენციის მონაწილეებმა დაგმეს ახლანდელი ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით.

კონფერენციაზე მიიღეს რეზოლუცია, რომლის ძირითადი მოთხოვნაა ახლანდელი ხელისუფლების დაუყოვნებლივი გადადგომა.

ვის აძლევს ხელს სიცრუე

ქობულეთის საინფორმაციო სამსახურის მიერ სინაკის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია მტკნარი სიცრუეა, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში სინაკის რეგიონული მეურნეობის უფროსის თანაშემწემ რამაზ ლობჟანიძემ.

როგორც ირკვევა, 26 ივლისს აქ ჩამოვიდა ვახტანგ ჩობალიას დაქვემდებარებაში მყოფი მეორე ბატალიონის წარმომადგენელი, რომელიც ამჟამადაც საქართველოში მიმდინარე საომარი ოპერაციების გამო, მობილიზაციის საკითხებს აწესრიგებს. ყველა საკითხი წყდება მტაბთან შეთანხმებით. სიცრუეა ინფორმაცია შეიარაღებისა და ესკალაციის შესახებ. ბატონ რამაზ ლობჟანიძის განმარტებით, ვითარება მთლიანად რაიონში კონტროლს ექვემდებარება.

მაკა კილაძე,
საქინფორმის კორ.

„ვეფხვი" აღარ არის!

ამ ერთი თვის წინათ სოხუმში ყოფნისას ერთ-ერთ საბრძოლო პოზიციაზე, სადაც სოფელ თავისუფლების მცველნი იყვნენ გამაგრებულნი, შევხვდი და გავიცანი ეს თავდადებული კაცი, საკმაოდ კოლორიტული პიროვნება — კაკო ქურტანიძე, იგი თავისი ხალისიანი განწყობილებითა და შემართებით, როგორც იტყვიან, სული და გული იყო თანამებრძოლებისა.

— ჩემი ვეფხვები აქედან ფეხს არ მოიცვლიან, რადგან ძალიან კარგად იციან, რომ ტყვია მშიშრებსაც და უკან გაქცეულებს ეწევა მხოლოდ — მამაშვილურად ხუმრობდა კაკო...

სოფელ თავისუფლების მცველნი ამ პოზიციაზე 13 ოქტომბრიდან ვართ და ჯერ მსხვერპლი არ გვქონია, ამაყად ამბობდა კაკო და ასეთი კარგი შედეგი ნაწილობრივ მისი, როგორც კარგი მეთაურის დამსახურებაც იყო. ბატონი კაკო ამიტომაც დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის მედლით.

ახლახან სოხუმში ჩასვლისას კი სამწუხარო ამბავი დამხვდა: „ცუგუროვკის მთის ვეფხვი" (ასე ეძახდნენ მას თანამებრძოლები) გმირულად დაღუპულიყო. სამშობლოს სიყვარულით ანთებულმა მისმა სხეულმა სწორედ სამშობლოსათვის ნასროლი ტყვია მიიღო და გაიცივა. მისი თანამებრძოლები ამაყობენ ღირსეული მეთაურით. ჩვენც ვამაყობთ, მთელი საქართველო ამაყობს. ჩემმა ფოტოკამერამ უკანასკნელი ერთი თვის

გმირები

მანძილზე ღირსეული ქართველის კაკო ქურტანიძის ორი ფოტოსურათი დააფიქსირა: ერთზე საბრძოლოდ შემართული „ვეფხვია" და მეორეზე კი... მისგან დამწუხრებული საყვარელი ოჯახი.

მჯერა, ისეთები როგორიც კაკო ქურტანიძე იყო, ერთი სიკვდილით არ კვდებიან!

ანზორ ტოტლამაზაშვილი.



ჭადრაკი

ტურნირი ჯაკარტაში

30 ივლისს ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში გაიხსნება ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების 1993-1995 წლების ციკლის საზონათაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს 8 უძლიერესი დიდოსტატი, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას პრეტენდენტთა ტურნირში (იგი გაისად გაიმართება) მსოფლიო ჩემპიონთან მატჩში შეხვედრის უფლებისთვის. ჩემპიონი, რომელიც უნდა შეხვდეს პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულს, ჯერ ცნობილი არ არის. იგი გამოვლინდება სე ცზიუნისა (ჩინეთი) და ნანა იოსელიანის მატჩში, რომელიც წლეულს შემოდგომაზე ქალაქ მონტე-კარლოში (მონაკო) გაიმართება.

საზონათაშორისო ტურნირი შვეიცარიული სისტემით 13 ტურად მოეწყობა. პირველი ტური შედგება 31 ივლისს, დასკვნითი, მეცამეტე — 15 აგვისტოს.

ბრძოლაში 36 ცნობილი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის არიან გამოჩენილი დიდოსტატები — შვედი პია კრამლინგი, უნგრელები სოფია პოლგარი და ილდიკო მადლი, რუსები სვეტლანა მატვეევა და იულია დემინა, ამერიკელები ირინა ლევიტინა და ესთერ ეპშტეინი, ჩინელები ცინი, ვანგი და პენგი, აზერბაიჯანელი აინურ სოფიევა, უკრაინელი ალისა გალიამოვა-ივანჩუკი, იუგოსლაველი დები ალისა და მირიანა მარიჩები და სხვ.

კვირას შორეულ ჯაკარტაში გაემგზავრნენ ქართველი დიდოსტატები მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი და საერთაშორისო ოსტატი ნინო ხურციძე. მათ მწვრთნელებად გაჰყვნენ საერთაშორისო ოსტატები გია გიორგაძე და ლაშა ჯანჯღავა. დელეგაციას თავკაცობს ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. ჩვენს მოჭადრაკეებს ხელი გაუმართეს სპონსორებმა — „ზანი და კომპანიამ" (გენერალური დირექტორი — ბადრი ზანგუა) და ფირმა „იმედმა" (გენერალური დირექტორი — ლევან ფირცხალაიშვილი).

ტურნირში პირადად მიწვეული იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო გამგზავრება.

ქართველი მოჭადრაკეები მუდამ მონაწილეობდნენ საზონათაშორისო ტურნირებში და საკმაოდ წარმატებითაც. ამჟამად ჩვენს წარმომადგენლებს არ სჭირდებათ [illegible]. ყველა მათგანს მეტ-ნაკლებად წარმატების რეალური შანსი აქვს.

ტურნირის ფავორიტია მაია ჩიბურდანიძე. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ იგი შესანიშნავად გამოვიდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე მანილაში (ლიდერობდა საქართველოს ნაკრებს და პირველი ადგილი დაიკავა პირველ დაფაზე) და ბელგრადის ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში (დაიკავა პირველი ადგილი). ახლახან იგი კვლავ პირველი იყო ვენის დიდოსტატთა ტურნირში.

საიმედოდ თამაშობს ბოლოდროინდელ ტურნირებში ქეთევან არახამია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატება დიდოსტატ ქალთა და ვაჟთა ტურნირში (არუბა, 1992), სადაც მან სძლია ბ. ივკოვს, ვ. ჰულმანს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ვ. ხმისლოვთან, ი. ზელერთან... ასევე წარმატებით ითამაშა ბელგრადის ფესტივალში (1992), სადაც დაამარცხა ცნობილი დიდოსტატები, მათ შორის ბ. გურევიჩი. ასე რომ, ასეთი გამოცდილების მქონე ქეთევანისგან ახალ მიღწევებს მოველით.

ნინო გურიელს არაერთხელ გაუმარჯვია საზონათაშორისო ტურნირში, იყო პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილეც. იგი შესანიშნავი სტილის მოჭადრაკეა, თუ თამაში აეწყო, ნინო პირველობას არავის დაუთმობს. ცხადია, რომ ამჟამად ნინოს არ აკლდება მისი მუდმივი დიდოსტატი ზურაბ სტურუა. ვფიქრობთ, ეს არ შეუშლის ხელს წარმატებით თამაშში.

ტურნირის ახალბედაა თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველკურსელი, 17 წლის ნინო ხურციძე. ახალგაზრდობის მიუხედავად ნინო გამოცდილი მებრძოლია. იგი იყო ევროპის (20 წლამდე) და მსოფლიოს (16 წლამდე) ჩემპიონი გოგონათა შორის. 1993 წელს მეორედ დაეუფლა საქართველოს ჩემპიონის ტიტულს ქალთა შორის. საზონათაშორისო ტურნირის საგზური ნინომ ზონალურ შეჯიბრებაში (თბილისი, 1993) მოიპოვა. მან დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. გაუსწრო ნინო გურიელსა და დიდოსტატ ქეთევან კახიანს. ახლა ნიჭიერ გოგონას მეტი ძალისხმევა დასჭირდება ამ ჭკვიან ძლიერებთან ბრძოლაში.

ჩვენი მოჭადრაკეების უმთავრესი მოცილენი იქნებიან პია კრამლინგი, სოფია პოლგარი, რუსი, ჩინელი და იუგოსლაველი დიდოსტატები. ცხადია, მათთან ორთაბრძოლებში გადაწყდება კიდეც პრეტენდენტთა საგზურების ბედი.

— ორი საგზურის მოპოვების იმედი მაინც გვაქვს, თუმცა შესაძლოა მეტიც იყოს ჩვენების ნაწილი, — გვითხრა ჯაკარტაში გამგზავრებისას ნანა ალექსანდრიამ. ნეტავ ასე იყოს.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

თბილისისა და ზაარბრიუკენის დაძმობილებაში ქალებმაც რომ უდიდესი როლი ითამაშა, ამაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

ეს ტრადიცია კვლავაც გრძელდება, რისი მაგალითიც იყო ახლახანს გერმანიის ამ ქალაქში ქართველი მხატვარი ქალების დინარა ნოდიას, ლორეტა შენგელია-აბაშიძის და ია გოგოშვილის ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვის გამართვა ზაარგალერეაში, საქართველოს ქალთა საბჭოსა და ზაარის მხარის ქალთა ორგანიზაციის მეოხებით.

ხელოვნება — შუამავალი

ზაარგალერეა ქალაქის შუაგულშია, სადაც გაცხოველებული ვაჭრობაა ხოლმე, დიდძალი ხალხიც ტრიალებს. იქ გამოფენის გამართვა არა მარტო ღირსების საქმეა, არამედ სარფიანიც გახლავთ, რადგან დამთვალიერებელი ნიადაგ არის.

ქართველი მხატვარი ქალების ფერწერულმა და გრაფიკულმა ქმნილებებმა, — ქართულმა პეიზაჟმა, ნატურმორტმა, ლირიკულმა მოტივებმა, ჟანრულმა სურათებმა ქართული სული და კოლორიტი გააცნო ზაარბრიუკენელებს. ყოველ ნამუშევარში იგრძნობოდა ოსტატის ხელი და ღრმად მოაზროვნე პიროვნებების ნაფიქრი, გარდასახული ფერწერაში თუ გრაფიკაში.

მხატვრებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ შეხვედროდნენ დამთვალიერებლებს, გაეგოთ მათი გულისთქმა და მოესმინათ მათგან პირუთვნელი შეფასება.

ქებისა და მადლიერების სიტყვებით მიმართა სამეულს თავის ბარათში ქალაქის ობერბურგომისტრმა ჰაიო ჰოფმანმა. „დიდი სიხარულით შევიტყვე, რომ თქვენს გამოფენას ჩვენს ქალაქში უდიდესი წარმატება ხვდა. მე მინდა თქვენ, გერმანელ ქალთა წრეს და გამოფენის თაოსნებს მადლობა მოგახსენოთ, რადგან ამ წარმატებამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო დაძმობილებულ ქალაქებს ზაარბრიუკენსა და თბილისს შორის მტკიცე ურთიერთმეგობრობა".

[illegible] — ზაარლანდის [illegible] და სპორტის მინისტრი, მარგიტ კონრადი — ზაარბრიუკენის ბურგომისტრი, ქრისტა [illegible] — ქალაქის ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ინგრიდ პალუ — გერმანელ ქალთა კავშირის (DFR — „დოიჩე ფრაუენრინგ") ზაარბრიუკენის განყოფილების თავმჯდომარე, — აი, ქართველ ხელოვანთა უპირველესი გულშემატკივრები და ხელშემწყობნი.

— აქვე უნდა აღინიშნოს ქალაქის მერიის და კულტურის განყოფილების ღვაწლი, რომელთაც ათი დღის მანძილზე უსასყიდლოდ დაგვითმეს დარბაზი, ხოლო ქალბატონმა ფრონტ-ბენციანმა პირადად იზრუნა სურათების ჩარჩოებში ჩასმაზე და თვითონვე გააწყო ექსპოზიცია — თქვა საქართველოს სახალხო მხატვარმა, პროფესორმა დინარა ნოდიამ.

60-იანი წლების დასაწყისიდან 50-ზე მეტი ქვეყანა მოუვლია დინარა ნოდიას ქმნილებებს. ამერიკა თუ საფრანგეთი, იტალია თუ შვეცია, ინგლისი და იაპონია, კანადა, ბელგია, ხოლო პერსონალური გამოფენები ჰქონდა მექსიკაში, ფინეთში და ნიდერლანდებში.

ხიდები

ლორეტა შენგელია-აბაშიძესაც კარგად იცნობენ ჩვენში თუ უცხოეთში — ასამდე გამოფენის მონაწილე, იგი ქართველი 70-იანელების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ახალგაზრდა მხატვარი ია გოგოშვილი — 80-იანი წლების მხატვართა თაობას ეკუთვნის, ასე რომ, ამჯერად სიმბოლურად სამი თაობა წარსდგა მათი სახით ზაარის მხარეში. თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილ სამივე ხელოვანს სხვადასხვა დროს ჰქონია მონაწილეობა გერმანიის გამოფენებში. ზაარბრიუკენის გამოფენა მრავალფეროვნებითა და მკაფიო ინდივიდუალობით გამოირჩეოდა. ექსპონატების შეძენის მსურველიც ბევრი აღმოჩნდა.

ქველმოქმედება, ხელგაშლილობა ქართული თვისებაა და სტუმრებმაც თავიანთი შემოსავლის დიდი ნაწილი შესწირეს მოძრაობას: „ბავშვები ეხმარებიან ბავშვებს" და „მშრომელთა და სამარიტელთა კავშირს", რაც ისევ ქართველი ბავშვების სასიკეთოდ შემობრუნდა — ამ თანხით ჩვენში გამოსაგზავნი მეოთხე მაშველი ტრანსპორტი შეივსო, მანქანა მხატვრების თვალწინ დაიტვირთა და მალევე ჩამოვიდა საქართველოში. ასე რომ, გამოფენა ზაარბრიუკენში ორმაგად სასარგებლო გამოდგა. ამას ხაზი გაუსვეს თავიანთ სამადლობელში როგორც განათლებისა და სპორტის მინისტრმა ქალბატონმა მარიანა გრანცმა (მან თავიდანვე იკისრა ამ გამოფენის მფარველობა), ასევე ქალაქის ბურგომისტრმა მარგიტ კონრადმა, რომელმაც ქალაქის რატუშის საზეიმო დარბაზში გულითადი შეხვედრა გაუმართა სტუმრებს და „განსაკუთრებულად კეთილშობილური ჟესტი" უწოდა მათ მიერ ბავშვებისათვის გაღებულ შესაწირავს.

ზაარბრიუკენში გამოფენის გამართვას მხარი დაუჭირა ზაარლანდის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა, გამოდიოდა რა ზაარლანდ-საქართველოს მეგობრობის ინტერესებიდან, მან დამატებითი სახსრებიც გამოყო საამისოდ. აღმოსავლეთ-დასავლეთის მეგობრობის საზოგადოებაც არ დარჩენილა გულგრილი ამ მოვლენისადმი. ყოველივე ამის გარდა გამოფენას გამოეხმაურა პრესა და რადიო „სალუ".

— ჩვენდა სასიხარულოდ, გამოფენას ბევრი სტუმარი ჰყავდა, — დღეში ასი კაცი მაინც შემოდიოდა, — აღნიშნა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლორეტა შენგელია-აბაშიძემ, — სწორედ ამან განაპირობა სურათების იღბლიანი გაყიდვა. დღესდღეობით არც იქ არიან ღალხენილები, მოგეხსენებათ, ეკონომიკური კრიზისის დროს ადამიანი ხელმოჭერილია, მაგრამ ჩვენ ეს არ გვიგრძვნია.

... ზაარბრიუკენელთა ოჯახებში უცხო სითბო და სურნელი შეიტანა ქართულმა პეიზაჟმა, თბილისურმა მოტივებმა, სოფლურმა იდილიამ.

— კარგი იქნებოდა საქართველოში ზაარბრიუკენელ ხელოვან ქალთა საპასუხო გამოფენა-გაყიდვა რომ მოეწყოს — ინატრეს მასპინძლებმა და ალბათ საქართველოს ქალთა საბჭოს, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს ართმევს თავს, თანამემამულეთა ქველმოქმედების წყალობით არც ეს გაუჭირდება, ოღონდაც მშვიდობა გვეღირსოს!..

ხელოვნება ხომ მუდამ კეთილი, სულგრძელი შუამავალია!

ნანა ღვინიფაძე.

* * *

სურათზე: გერმანელ ქალთა კავშირის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ინგრიდ პალუ (მარცხნივ) სიტყვას ამბობს ვერნისაჟზე.

ძვირფასო რედაქციავ!

თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს მადლობა გადავუხადო სოციალური დაცვისა და დემოკრატიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის (დირექტორი გურამ კვიწინაძე) მუშაკებს იმ თანადგომისა და დახმარებისათვის, რომლებსაც ისინი უწევენ გორში მცხოვრებ სოხუმელ და ცხინვალელ ლტოლვილებს.

ლისლიძეში აფხაზმა ექსტრემისტებმა სახლ-კარი გადამიწვეს. შვილებითურთ გორში კეთილ ადამიანებს შევეფარე. მეუღლე აფხაზეთში დარჩა და არ ვიცი, დაქირავებული ბანდების წინააღმდეგ იომებს. დიდად მეხმარება ფონდის გორის ფილიალი, სახელმწიფო დახმარების გარდა, მიხდიან ბინის ქირას, ვსარგებლობთ უფასო კვების უფლებით. ამას წინათ, ფონდის მუშაკები ბინაზე მესტუმრნენ, გადმომცეს ფულადი დახმარება 1500 მანეთის ოდენობით. მომიტანეს ლობიო, მურაბები, მოშუშული ხორცის კონსერვები. გმადლობთ.

აფხაზეთიდან ლტოლვილი ოთხი შვილის დედა **ნაილი ზერიძე.**

ფონდი მფარველობს, ფონდს მფარველობენ

ფონდში მისულებს სხვა მადლობის წერილებიც გვიჩვენეს, ცხინვალელი ლტოლვილები რვა შვილის დედა გიული ოდიკაძე, ათი შვილის დედა ნუნუ ჯოჯოშვილი, უკრაინელი ქალი — შვიდი შვილის დედა სვეტლანა [illegible] და სხვები მადლობას უხდიან ფონდს, ვინც მათზე ზრუნავს, ბედისმოშლილ ადამიანებს მფარველობს.

— ლტოლვილების გარდა, ჩვენი მუდმივი თვალთახედვის არეშია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, — ამბობს გურამ კვიწინაძე, — როგორიცაა მიგრაციული პროცესების რეგულირება, სტიქიით დაზარალებულთა,

სამაჩაბლოდან აფხაზეთამდე

სოციალურად დაუცველთა, მრავალშვილიანთა დახმარება.

სახელმწიფომ ფონდს ლტოლვილთა კვებისა და საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის 20 მილიონი მანეთი გამოუყო, რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოკრატიის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 3,5 მილიონი მანეთი, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა — 8 მილიონი მანეთი.

გაჭირვებულთა და უსახლკაროდ დარჩენილთა ბედის მიმართ გულგრილი არც გორის საწარმოები და ფირმები დარჩნენ. რაიონის პურკომბინატმა სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალს 20000 კუპონი ჩაურიცხა, პურპროდუქტების გორის საწარმოო კომბინატმა — 2000 კუპონი, ფირმა „ნუცამ" და „ლელამ", თითოეულმა, 20 ათასი; „მაქრომ" — 6 ათასი კუპონი, გორელი მოქალაქის უშანგი თაბუაშვილის ოჯახი ლტოლვილებს 7000 კუპონით დაეხმარა, საქველმოქმედო საქმეებით ცნობილმა გორის ბამბეულის ქსოვილების საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მცირე საწარმომ ფონდს 100 ათასი კუპონი ჩაურიცხა.

გონივრული, მოფიქრებული, კომერციული საქმიანობით აქ არამარტო იღწვიან გამოყოფილი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვას, შეძენილ პროდუქტებს შეღავათიანი ფასებით აწვდიან სკოლამდელ დაწესებულებებს, ინვალიდებს და მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეებს.

გურამ ვაშაკიძე.

კომერციული ბანკი
არმაზი
აცხადებს ამერიკული დოლარების მიღებას ფრიად ხელსაყრელ და მომგებიან პირობებში მაღალი პროცენტული განაკვეთით,
3 თვეში 20 პროცენტის დაბრუნებით.
ჩვენთან შემოტანილი თანხა დაზღვეულია ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.
მობრძანდით, გპირდებით მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი 45, მე-13 სართული,
კომერციული ბანკი «არმაზი».
ტელ: 39-84-62, 39-69-24.

ხსოვნა

კახა ქარდავა

საშინელი, მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მეგობრებისათვის შენი სიკვდილი.

23 ივლისის ღამით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედის ხელმა იმსხვერპლა 19 წლის ვაჟკაცის კახა ქარდავას სიცოცხლე. ამაზრზენია, რომ მკვლელი მისივე კოლეგა აღმოჩნდა. ძნელია იმ ტკივილის გადმოცემა, რომელსაც შენი მეგობრები განვიცდით. შენი ნათელი სახელი მარად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

თანამშრომლები.

რა მოხდა ქუთაისში?

ქუთაისი. (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე). 27 ივლისს, დილის ათ საათზე პოლიტიკურ ორგანიზაცია „მრგვალ მაგიდას" გადაწყვეტილი ჰქონდა მიტინგი გაემართა ქალაქის ცენტრში — დავით აღმაშენებლის სახელობის მოედანზე. მაგრამ ქალაქის მართლწესრიგის დაცვის თანამშრომლებმა მომიტინგეებს არ მისცეს აქ მიტინგის მოწყობის საშუალება. სამწუხაროდ, საქინფორმის კორესპონდენტს, რომელიც ამ ინციდენტს შეესწრო, ხელიდან გამოსტაცეს ფოტოაპარატი.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ქალაქ ქუთაისის მერს **თეიმურაზ შაშიაშვილს** მომხდარი ფაქტის გამო.

— ამ თავყრილობის გამართვა იმ დღეს დაემთხვა, როცა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისთვის უნდა მოეწერათ ხელი.

ჩემი აზრით, ყველა ქმედება მიზნად ისახავს ქალაქში დესტაბილიზაციის გამოწვევას. გუშინწინ ქუთაისში პროვოკაციულად შეიჭრნენ რუსეთის საჯარისო ნაწილები, და ამ შეტაკების დროს დაიღუპა [illegible] ქალი, რომელიც ავადმყოფ დედას საავადმყოფოში ახლდა თან. თავისი ოჯახის წევრების თვალწინ საკუთარ მანქანაში სამმა, ნიღბიანმა ბოროტმოქმედმა მოკლა ქალაქის აეროპორტის უფროსის მოადგილე [illegible]. სამი დღის წინათ გეგუთში მანქანიდან დაცხრილეს ორი წყალტუბოელი პოლიციელი. უნომრო მანქანა, რომელსაც გამოედევნენ, ცხენისწყალს გასცდა...

26 ივლისს, დილით ქუთაისში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახი საკუთარ მანქანაში ამოხოცეს. ყველაფერი ეს ბოროტმოქმედების ერთი ჯაჭვის რგოლებია, თანაც ისინი ერთმანეთს ემთხვევა.

გუშინ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის ინიციატივით კინოთეატრ „საქართველოში" უკანონოდ გამართეს კონფერენცია, მაგრამ ქალაქის მერიას ამის გამო არაფერი უთქვამს. რამდენიმე დღის წინათ გაიმართა მიტინგი ბალახვანში.

27 ივლისს დაგეგმილი მიტინგის ადგილად მათ შევთავაზეთ ამ ღონისძიებებისათვის მერიის მიერ გამოყოფილი ადგილი — [illegible] კიბესთან, მაგრამ მათ იქ არ მოისურვეს მიტინგის გამართვა.

მიგვაჩნია, რომ რაც კანონით არ არის დაშვებული, ის არ უნდა განხორციელდეს. მაგრამ მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ, როგორმე გამოიწვიონ პროვოკაცია, დესტაბილიზაცია.

ქუთაისში შემოღებულია პატრულობა. ქალაქის საზღვრები გადაკეტილია. იარაღით ქალაქში შემოსვლა აკრძალულია. ჩვენ გვინდა, რომ კანონი კანონობდეს, მას ყველა პატივს სცემდეს.

რედაქციისაგან: ვიმედოვნებთ, საქინფორმის კორესპონდენტის შემთხვევას, სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ და მიიღებენ სათანადო ზომებს.

თბილისის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას
1993-94 სასწავლო წლისათვის
შემდეგ სპეციალობებზე:

1. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;
2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და მეთოდიკა;

ინსტიტუტში, იმ სასწავლო დისციპლინების გარდა, რომლებიც აუცილებელია მაღალკვალიფიციური პედაგოგის აღსაზრდელად, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა უცხო ენების გაღრმავებულ სწავლებას (სტუდენტთა არჩევანის მიხედვით), მედიცინას (პედიატრია, თერაპია, გინეკოლოგია-მეანობა, კანის ჰიგიენა და კოსმეტოლოგია), ხელსაქმეს (ქსოვა, ქარგვა, ჭრა-კერვა). ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სტუდენტთა ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას (შეისწავლება ხელოვნებათმცოდნეობის დისციპლინები, მუსიკა, ფერწერა და სხვა. ასევე შეისწავლება აერობიკა, აღმოსავლური სპორტის სახეობები, ავტომანქანის მართვა). ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და საერთაშორისო სამართლის, საქმიანი ქაღალდების, ბუღალტერიისა და საოჯახო ეკონომიკის სწავლება.

ინსტიტუტში გამოყენებულია ტრადიციები ქართული გიმნაზიებისა და კეთილშობილ ქალთა სასწავლებლების გამოცდილებიდან.

ინსტიტუტის კურსდამთავრებული იქნება 21-ე საუკუნის ქალი, არა მარტო როგორც ვიწრო სპეციალობის პედაგოგი, არამედ ფართო ჰორიზონტის ხელმძღვანელი მუშაკი. ინსტიტუტში სწავლებას წარმართავენ ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები.

სწავლების ვადა ოთხი წელია. მიღება — გასაუბრებით. ინსტიტუტში მიიღებიან სრული საშუალო განათლების მქონე პირები. აუცილებელია განათლების მოწმობა (დიპლომი), დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა, ფორმა 086, ექვსი ფოტოსურათი.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან ყოველდღე, გარდა შაბათ — კვირისა, შემდეგ მისამართზე:

თბილისი. პეტრიაშვილის ქ. 7. 50-ე საშ. სკოლის შენობა. ტელ. 23-40-67. საბუთების მიღება 11 საათიდან 15 საათამდე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 98-31-49. 61-55-24.

შ.პ.ს. «BIM» - თან
არსებული ფასიანი
სამედიცინო
სასწავლებელი
აცხადებს მიღებას

სასწავლებელი მუშაობს მოზრდილთა მე-9 პოლიკლინიკის (ლ.ქიაჩელის ქ. №18) და ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ძმები ზუბალაშვილების ქ.№-48) ბაზაზე (ორივე ბაზა მეტრო რუსთაველთანაა). იჩქარეთ! მისაღები კონტიგენტის რიცხვი შეზღუდულია. საბუთები მიიღება 15 აგვისტომდე.

საბუთები მიიღება მისამართზე — თბილისი. ლ. ქიაჩელის ქ.№ 18 მოზრდილთა მე-9 პოლიკლინიკა. მთავარი ექიმის კაბინეტი.

ტელ. 99-84-76.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კომპლექსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА